პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

## დღიური

— ახალი თვითნებობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე.
— ტოკიოში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ელჩი იაპონიაში ამხ. დოვგალევსკი.
— პოლონეთის ხელისუფლებამ დაშალა ბელორუსთა გრომადა.
— საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბესარაბიელთა პროტესტი ბესარაბიის ოქმის დამტკიცების წინააღმდეგ.
— საბჭოთა თბომავალი „კალინინი“ დანციგში.

სამშაბათი, 29 მარტი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 69 (1824)

# სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა

## სრ. საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა

მესამე ყრილობა იყო ამ ორი წლის წინად,—სწორედ დაახლოვებით ამ დროს,—გაზაფხულის დღეებში 1925 წელს... ამ ყრილობამ დაასრულა დიდად მნიშვნელოვანი ხანა საქართველოს საბჭოების ჩამოყალიბებისა, კონსტიტუციონურად მათი გამოსახვისა. დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა—საქართველო—თვით წარმოადგენს ერთგვარ ფედერაციას, ვინაიდან მის შემადგენლობაში შედიან არამც თუ მაზრები, არამედ სამხრეთ-ოსეთი, აჭარისტანი და აფხაზეთი. ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხებთან ერთად ჯერ კიდევ 1922 წლიდან დამოუკიდებელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო შედის ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და აგრეთვე დამოუკიდებელნი—აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად ქმნიან ამიერ-კავკასიის საბჭოების საერთო ყრილობაზე ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკას. ამავე დროს ამიერ-კავკასიის ფედერაციით საქართველო შედის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. ყოველივე ეს დაბოლოვებით ჩამოყალიბდა და იურიდიული კონსტიტუციონური სახე მიიღო საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობამდე და თვით ამ ყრილობაზე. ამნაირად ყოველგვარი რყევის ხანას ამ ყრილობამ მოუღო ბოლო და მიანდო მის მიერ არჩეულ უზენაეს მმართველ ორგანოს—საქართველოს ცაკს—მედგრად და შეურყევლად განეგრძო სახკომსაბჭოსთან ერთად ძმური და ერთგული თანამშრომლობა საზოგადოდ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკურად განვითარება—აღორძინებისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის სხვა ხალხებთან და მით კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინა საერთო დიდი კავშირი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისა, როგორც მიუვალი, ურყევი ციხე-სიმაგრე.

მესამე ყრილობიდან ორი წლის გასვლის შემდეგ —მიმდინარე (1927) წლის ამ გაზაფხულის დღეებში საქართველოს ყველა კუთხეებიდან და, მათ შორის, აფხაზეთიდან,—აჭარისტანიდან და სამხრეთ-ოსეთიდან მუშებისა და გლეხების საუკეთესო წარმომადგენელნი შემოკრბენ დედა ქალაქ თბილისში სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობაზე უაღრესად დიდ მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთავრობათა მოხსენება ყრილობას გაუთვალისწინებს, თუ ამ ორი წლის განმავლობაში როგორი წარმატებით მოახერხეს მათ სრული შეთანხმებით ამიერ-კავკასიის სხვა ძმური ხალხების მთავრობებთან ერთად ასრულება ყველა იმ დავალებათა და დადგენილებათა, რაც მიღებული იყო მესამე ყრილობის მიერ მართვა და სახელმძღვანელოდ ქვეყნის მართვა-გამგეობისა და მისი მეურნეობის აღსაღორძინებლად.

ამასთანავე ორივე მოხსენება, ეჭვი არაა, ცხადყოფს ამიერ-კავკასიის და საქართველოს აღორძინებას ეკონომიურად და პოლიტიკურ განმტკიცებას როგორც ურთიერთ დამოკიდებულებაში, ისე მათ დამოკიდებულებაში მთელ კავშირთან.

დაბოლოს ორივე ეს მოხსენება ნათელყოფს, თუ რა დაბრკოლებები აღმოუჩნდენ მთავრობას მესამე ყრილობის ამა თუ იმ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების დროს და ორი წლის პრაქტიკაში რომელი ახალი საკითხები დაუყენა წინ საქართველოს მშრომელ ხალხს და ამიერ-კავკასიის ხალხებს მართვა-გამგეობისა და სამეურნეო სხვადასხვა დარგებში. ამავე მიზანს ისახავს მოხსენება საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. ის გააშუქებს საქართველოს მრეწველობის განვითარებას ახალი უმაღლესი ტექნიკის გზით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ მოხსენებასთან არსებითად შეკავშირებულია მოხსენება „სასოფლო მეურნეობის ამოცანების შესახებ“, ვინაიდან მრეწველობის განუვითარებლად, ქალაქის ინდუსტრიის აუღორძინებლად სოფლის მეურნეობა ვერ წაიწევს წინ. ეს ისევე, როგორც ქალაქის პროლეტარიატი, მისი დიქტატურის გარეშე გლეხკაცობა ვერ მიაღწევდა დღევანდელ მის პოლიტიკურ ამაღლება-განვითარებას.

ამგვარად, მათი კავშირი,—შეურყეველი კავშირი მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელ გლეხკაცობისა, ცხოვრების საშოდან ამოხეთქილი, აუცილებელი მათთვის სასიცოცხლო მოვლენაა, და ის უფრო და უფრო უნდა განმტკიცდეს, სანამ დედამიწის ზურგზე ბოლო მოეღებოდეს ადამიანის ადამიანის მიერ ჩაგვრა ყვლეფას, და კაცობრიობა სოციალიზმის შექმნით შევიდოდეს ბრწყინვალე, კომუნისტურ სამეფოში. ეს იქნება არა მატყუარა ხუცების და მოლების ზღაპრული სამოთხე,—არამედ ნამდვილი ჩვენ მიერ აქ—დედამიწაზე ასეთი დიდი ბრძოლითა და ტანჯვა-წვალებით შექმნილი და ნაშობი ახალი ქვეყანა ჭეშმარიტი ძმობა—ერთობა—თანასწორობა—და სიყვარულისა.

დღის წესრიგის ზემოდ ჩამოთვლილ საკითხებს დააგვირგვინებს მეხუთე საკითხი—საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცება. ეს ახალი გამოხატულება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციისა იქნება მხოლოდ ფაქტის აღიარება,—დამტკიცება იმისა, რაც მოხდა მესამე ყრილობიდან დღემდე, ე. ი. ამ ორი წლის განმავლობაში,—პოლიტიკურ - ეკონომიურ ნიადაგზე საერთო მუშაობის დროს. ქვეყნის საერთო გეგმით მართვა-გამგეობის დროს, როგორ დაუახლოვდენ ერთმანეთს მოძმე ხალხები აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთისა საქართველოს დანარჩენ ნაწილების ქართველ ხალხს და მათთან მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათ. ეს ეროვნებათა დაახლოვება ჭეშმარიტი დაძმობილებაა, ერთად, ძმურად, საერთო საქმის, ქვეყნის მეურნეობისა და მართვა-გამგეობის უკეთესად მოსაგვარებლად და ასაღორძინებლად ამიერ-კავკასიისა და მთელ კავშირთან შეურყეველ ერთობაში...

ბოლოს მეოთხე ყრილობა აირჩევს შემდეგ ყრილობამდე უზენაეს ორგანოს, რესპუბლიკის მთავრობას—ცაკს. ის კი პირველ სესიაზედვე თავის წევრებიდან აირჩევს სესიებს შუა უზენაეს ორგანოს—ცაკის პრეზიდიუმს და სახკომსაბჭოს.

აგრეთვე ყრილობაზე არჩეულ იქნებიან ამიერ-კავკასიის საბჭოების მუშებისა, გლეხკაცებისა, წითელარმიელთა და წითელ მეზღვაურთა დეპუტატების მეოთხე ყრილობის დელეგატები საქართველოდან. ამავე დროს საკავშირო ყრილობის დელეგატებიც იქნებიან არჩეულნი,—რომელთაც მხოლოდ დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის საბჭოების მეოთხე ყრილობა.

**გაუმარჯოს ჩვენს მეოთხე ყრილობას! მხურვალე სალამი მას და ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა.**

**გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!**

**გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.**

**მუდამ იყოს მისი სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი შეუბღალავი და გადუხრელი ჭეშმარიტი კომუნიზმი—ლენინიზმი—რევოლიუციონური მარქსიზმი!**

**ძირს ომი!**

**ძირს გამხეცებული და ჭკუადაკარგული ბურჟუა-კაპიტალისტები—იმპერიალისტები!**

**გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს მის ბელადს და უზენაეს ხელმძღვანელს—კომინტერნს!**

**გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას მშრომელ გლეხკაცებთან განუყრელ კავშირში!**

**გაუმარჯოს საბჭოთა დიდი ქვეყნის შემქმნელსა და ხელმძღვანელს დიდი ლენინის დიდ პარტიას—საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!**

**მიხა ცხაკაია.**

1927 წლ. მარტის 27-ს.

## პირველი საზეიმო სხდომა

### ყრილობის გახსნა

სრულიად საქართველოს მუშების, გლეხების, წითელ არმიელების და მეზღვაურების დეპუტატთა მეოთხე ყრილობას ხსნის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე**. (ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო, იწყებს თავის სიტყვას ამხ. ფილიპე—მხურვალე სალამი საქართველოს უზენაეს ორგანოს—საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

მესამე ყრილობის შემდეგ—განაგრძობს ამხ. ფილიპე ჩვენ დავჰკარგეთ მრავალი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მათ შორის წითელი ლაშქრის ბელადი და გმირი ამხ. ფრუნზე, ოქტომბრის რევოლიუციის განსაცვიფრებელი დარაჯი ამხ. ძერჟინსკი, კომპარტიის უძველესი წევრი და საზოგადო მოღვაწე კრასინი. ფეხზე ადგომით პატივსცემთ მათ ხსოვნას. (ყრილობა ფეხზე დგება. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს).



ამხ. ფილიპე მახარაძე ხსნის ყრილობას

ამავე ხნის განმავლობაში საერთაშორისო პროლეტარიატმა დაჰკარგა მრავალი თავდადებული მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესებისათვის. ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ მუშათა კლასის კეთილდღეობისა და სოციალიზმის ინტერესებისთვის დაღუპული მრავალი ათასი მებრძოლი. (ყრილობა დგება. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს). ჩვენ არ შეგვიძლია აგრეთვე ამ ყრილობაზე დავივიწყოთ ის მებრძოლნი, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის ციხეებში იტანჯება. მთელი ჩვენი თანგრძნობა ეკუთვნით მათ.

ამხანაგებო! ჩვენ უღრმესი სალამი უნდა გავუგზავნოთ ჩვენი კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებს საკავშირო ცაკს და სახკომსაბჭოს, აგრეთვე ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ორგანოებს და ჩვენს უახლოეს მოძმე რესპუბლიკებს აზერბეიჯანს და სომხეთს. (ხანგრძლივი ტაში. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

ჩვენი უღრმესი სალამი მუშათა სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის მჭედელს — საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

ჩვენი სალამი და გამარჯვება საკავშირო წითელ არმიას, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენ მშვიდობიან მუშაობას და წარმატებას. (ხანგრძლივი მქუხარე ტაში. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს).

ამხანაგებო! ჩვენ მივაღწიეთ ისეთ გამარჯვებას, რომელიც არ ხვედრია არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ ხალხს. ამჟამად ასეთივე ისტორიულ ბრძოლას თავის განთავისუფლებისათვის ეწევა ჩინეთის ხალხი, რომელმაც შანხაის და ნანკინის აღებით ამ დღეებში უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. მთელი ჩვენი სიმპატია ჩინეთის მებრძოლ ხალხს, რომლის გამარჯვებაც ჩვენი წარმატების საწინდარია. (მქუხარე ტაში, ვაშას ძახილი, ინტერნაციონალი).

ამხ. ფილიპეს სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის თავის ორგანოების არჩევაზე.

### საქმიანი პრეზიდიუმი

ყრილობის კომუნისტური ფრაქციის წარმომადგენლის ამხ. აფციაურის წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: აღნიაშვილი, ასრიბეკოვი ამირხანოვი, (უპ.)., ბერია, ბოლქვაძე, ვარამაშვილი, ვაშაკიძე ვასო (უპ). ღვამიჩავა გ., გეგეჭკორი ალ., დოლობერიძე ლ., გოგიბერიძე მამედ, ჰუსეინოვი, ჯუღელი, ჯატიევი, ჯავახიძე, ჯაფარიძე ვარო, დოლიძე ანდრო, დევდარიანი გაიოზ, ენუქიძე ტერენტი (უპ.), სურმანიძე, ჟვანია, ივანოვ - კაკასკი, ქართველიშვილი, კახიანი, ყურულიშვილი, ქურდაძე, ლაკობა, ლევანდოვსკი, ლომთათიძე გ., ლუკაშინი, მახარაძე ფ., მათიკაშვილი, ნაზარეტიანი, პროფ. ნუცუბიძე (უპ.) ორახელაშვილი მამია, [illegible]მიშვილი, რატნეკი, სვანიძე, სტურუა ვანო, ჩამბა, სუხიშვილი, თოდრია, ხანოიანი, ცხაკაია. წულუკიძე, წიკლაური იოსებ (უპ.), ჭიჭინაძე (უპ.)) შაზანოვი და შალვა ელიავა.

### საპატიო პრეზიდიუმი

ამხ. სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, კალინინი, ტომსკი, ვოროშილოვი, რუძუტაკი, მოლოტოვი, მიქოიანი, კლარა ცეტკინი, კატაიამა, ალიმალი ოღლი, და ამბარცუმიანი.

### სამდივნო

არჩეულნი არიან: გობეჯიშვილი, დარახველიძე, ფანცულაია, ტერ-ვართანოვი, რასულ-ზადე, ურუშაძე, კურციკაშვილი, გ. სტურუა, აფციაური, ჟოჟიკაშვილი და ჩაიკოვსკი.

### სამანდატო კომისია

არუტინოვი, სუჯიაშვილი, კვქელია, მაშკევიჩი, მეგრელიშვილი, ჭეიშვილი, ფანცხავა, სიამაშვილი, იანოვსკი, ბერია ბეკი და გორგაძე.

### სარედაქციო კომისია

კიკნაძე ნიკო, „(კომუნისტი“-ს რედაქტორი) თათარიშვილი, საყვარელიძე პ., მუშიშვილი, ცეხაძე და გაპალოვი.

ყრილობის დღის წესრიგისა (რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში) და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობა ისმენს ამხ. ფილიპე მახარაძის შესავალ სიტყვას.

## ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენ ვიდღესასწაულებთ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავს. განვლილი ხანა საკმარისი დროა იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გამოეჩინა თავისი მუშაობის პირველი შედეგები, ჩამოეყალიბებია თავისი სახელმწიფოებრივი ორგანოები. როგორც მარქსი ამბობდა პროლეტარიატს ბურჟუაზიულ აპარატის დაუმსხვრევლად და საკუთარი სახელმწიფო აპარატის შეუქმნელად არ შეუძლია აიღოს ხელში ძალა-უფლება. ამ განვლილი დროის განმავლობაში ჩვენ ვქმნიდით ახალ აპარატს, ვაყალიბებდით იმ ორგანოებს, რომელიც საჭიროა გამარჯვებული მუშებისათვის სოციალისტური წყობილების დასამყარებლად. ჩვენ შევ[illegible] სახელმწიფო მმართველობის საკმარისად რთული სისტემა, რომლის სათავეს წარმოადგენს საკავშირო ცენტრალური აღმასკომი და ძირს, საფუძველს თემაღმასკომი და სასოფლო საბჭო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წარმართავს, აერთიანებს, და თვალყურს ადევნებს ყველა ორგანოების მუშაობას,—ეს არის მისი მთავარი დანიშნულება.

რას აკეთებდა საანგარიშო ხნის განმავლობაში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი? უპირველეს ყოვლისა საქართველოს ცაკმა გამოიმუშავა ღონისძიებები რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლად. ამ მიზნით არჩეულ იქნა 80 მეტი დროებითი კომისია, რომლებიც გაიგზავნენ მაზრებსა და სოფლებში ადგილობრივი საკითხების შესასწავლად და გადასაჭრელად. ამავე დროს ცაკის პრეზიდიუმი აძლევდა სხვადასხვა წინადადებებს ჩვენი ხელისუფლების ყველა ორგანოებს იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც აღძრული იყო სხვადასხვაგვარი განცხადებებით, საჩივრებით და მუშათა და გლეხთა კორესპონდენტების წერილებით. ამ ღონისძიებებით ჩვენ შევსძელით შეგვემცირებია რევოლიუციონურ კანონების დარღვევის შემთხვევები და გადაგვეჭრა მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო მიწის რეფორმის ტყისა და საძოვრების საკითხის მოწესრიგებასთან.

საანგარიშო ხნის განმავლობაში მოწვეული იყო ცაკის სამი სესია. რომლებზედაც გარჩეული და მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი დადგენილებები, დებულებები, სოფლისა და ქალაქის საბჭოებზე. და აგრეთვე დამტკიცებულ იქნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, სხვათა შორის მესამე ყრილობის მიერ არჩეულ ცაკის პირველმა სესიამ მოაწყო თათბირი საბჭოთა ორგანოების შესასწავლად და გამოსარკვევად. ამ თათბირმა შეკრიბა მასალა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო სათემო საბჭოების გადახალისებას. ვინაიდან ჩვენში ყველა თემებს არ ჰქონდა სახსარი საკუთარი ბიუჯეტის შესაქმნელად, საკუთარი აპარატის შესანახად, თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოგვეხდინა ზოგიერთი თემის გაუქმება და შეუძლო თემების ერთ ერთეულში გაერთიანება. ამ საფუძველზე აგებული თემები საუკეთესო ორგანიზაცია გამოდგა, რომელიც მიზანშეწონილია ჩვენი სოფლის პირობებისათვის. ეხლა ჩვენი ამოცანაა მტკიცე ბიუჯეტის შექმნით ყოველ თემს შევუქმნათ არსებობის მკვიდრი ნიადაგი. საბჭოების გამოცოცხლება, ხალხის ინიციატივა და თვით-მოქმედება ნაყოფს გამოიღებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება თემის ნივთიერი მდგომარეობა, თუ თემს ექნება თავისი საკუთარი შემოსავალი და გასავალი. ამ მიმართულებით ცაკმა ბევრი რამ გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული.

საქართველოს ცაკის მოქმედებებს შორის აღსანიშნავია ის სავანგებო ზომები, რომელიც მან მიიღო ჩვენ ორგანოებში გავრცელებულ დიდი ბოროტების, გაფლანგვის წინააღმდეგ, რომლის აღმოსაფხვრელად მან მიმართა სოციალური დაცვის უდიდეს ზომასაც. ამ ღონისძიებამ მოჰყვა სასურველი შედეგი.

საქართველოს ცაკის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ ნაკლის გამოსწორება, რომელიც ახასიათებდა ჩვენი მიწის კოდექსს. ამ მიწის კოდექსის ზოგიერთ მუხლების გაურკვევლობის გამო ჩვენში თავი იჩინა ფარულად მიწის ყიდვა-გაყიდვამ. მიწის კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანით თუ სრულებით ვერ მოსპო, ყოველ შემთხვევაში ძალიან შეზღუდა ეს ბოროტება.

გარდა ამისა ცაკი იღებდა ზომებს ტყის დასაცავად. ამ მიზნით გამოიყო ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რომელიც მოსახმარად გადაეცა გლეხობას.

უმიწაწყლო და ღარიბ-ღატაკ გლეხობას დაურიგდა აგრეთვე მიწის ნაჭრები მიწის ფონდიდან.

ტყის დაცვის საკითხების მოსაწესრიგებლად სათემო აღმასკომებს მიენიჭათ ტყის გაჩეხვის და სხვა მგზავს ბოროტმოქმედების გამოძიების და გარჩევის უფლება, რაც განტვირთავს სასამართლოებს, რომელნიც ვერ ასწრებენ ასეთი საკითხების დროზე გარჩევას.

ცაკის მიერ შესრულებულ სხვა საქმეებს შორის საყურადღებოა აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა კომისიის მოწყობა, რომელსაც ევალება იმ ღონისძიებათა გატარება, რომელიც გამომუშავებულია საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულად ასაღორძინებლად.

მეორე ახალი ორგანო, რომელიც მოაწყო ცაკმა არის მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის მთავარ დანიშნულებასაც შეადგენს თვალყური ადევნოს, რომ ჩვენს ლიტერატურაში, კანონმდებლობაში არ შეიპაროს უვარგისი, ხალხისთვის გაუგებარი ტერმინები. გასული წლის დიდი მიღწევაა აგრეთვე ორგანიზაციული განყოფილების მოწყობა, რომელიც ცაკს საშუალებას აძლევს ცოცხალი კავშირი დაიჭიროს კომისარიატთან და სხვა საბჭოთა ორგანოებთან.

შემდეგ მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს საქ. ცაკთან არსებულ გლეხთა სახლის, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის და უპატრონო ბავშთა კომისიის მუშაობას.

გადადის რა საბჭოთა არჩევნების შედეგებზე მომხსენებელი ხაზს უსვამს გლეხობის აქტივობას და იმ ცხოველ ინტერესს, რომელიც გლეხობამ გამოიჩინა საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებისადმი საბჭოთა ორგანოების საქმიანობის შეფასებით და გაკრიტიკებით. თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი გლეხობის თაოსნობა, თვითმოქმედება ამის დასამტკიცებლად წრევანდელ არჩევნების გარდა მომხსენებელს მოჰყავს გლეხობის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გლეხთა საურთიერთო კომიტეტები, რომელსაც შეკავშირებული ყავს 60 ათასამდე გლეხური მეურნეობა, რომელსაც მოეპოება 485 ათასზე მეტი ქონება. ჩვენი მშრომელი მასის აქტივობის დამამტკიცებელი არის წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელსაც 800 ათასი წევრი ყავს და აქვს 600 ათასი მანეთის ხარჯთაღრიცხვა. ასეთივე ფართო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა რემედასი, რომელსაც დღიდან თავის დაარსებისა შეუკრებია და რევოლიუციონერთა დასახმარებლად გადაუგზავნია 100 ათას მანეთზე მეტი თანხა. ეს ფაქტები ნათლად მოწმობენ, თუ რა ფართო გასაქანი აქვს ჩვენში საზოგადოებრივ მუშაობას და სავსებით აბათილებენ იმ აზრს, თითქოს ჩვენში ჩაკლული იყოს საზოგადოებრივი თვითმოქმედება.

მომხსენებელი მოკლე მიმოხილვას უკეთებს ამჟამად დატრიალებულ საერთაშორისო ამბებს. დღეს, ამბობს მომხსენებელი, მთავარი ყურადღება მიქცეულია ჩინეთზე, სადაც წყდება, როგორც ჩინეთის ხალხის, მისი მომავლის, ისე იმპერიალისტური სახელმწიფოების ბედი. 22 მარტს შანხაიში შესდგა ახალი მთავრობა, რომელიც მოგვაგონებს იმ ორგანოებს, რომელიც ჩნდებოდენ ჩვენში რევოლიუციის პირველ დღეებში. აქ პირველად ვხედავთ ჩინელ მუშების უშუალო მონაწილეობას მართვა-გამგეობაში. ამიტომ სრულიად დროული იყო, როდესაც პარიზში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამართულმა მიტინგმა ასეთი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა: 56 წლის შემდეგ პარიზის კომუნისა და ათი წლის შემდეგ რუსეთის რევოლიუციისა, ჩინეთის კომუნა მოასწავებს ახალ ეტაპს მსოფლიო რევოლიუციის განვითარებაში. ჩვენ მოვუწოდებთ საფრანგეთის ჯარისკაცებს და მეზღვაურებს დაძმობილდენ ჩინელ ამხანაგებთან“. (მქუხარე ტაში) ძველი რომაელების თქმულებაა, რომ სინათლე აღმოსავლეთიდან მოდისო. მართლაც აკვანი კაცობრიობის კულტურის იყო აღმოსავლეთი, საიდანაც ეს კულტურა გადავიდა ევროპაში, მაგრამ რევოლიუციის ცეცხლმა პირველად იჩინა თავი საფრანგეთში, შემდეგ თანდათან გადავიდა აღმოსავლეთისკენ. პარიზის კომუნა ოქტომბრის რევოლიუციის დროს მოგვევლინა საბჭოთა ხელისუფლების სახით. დღეს ამ კომუნის ცოცხალი სახე ჩვენ გვევლინება შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთის უდიდეს ქალაქ შანხაიში. ჩვენ ეს რევოლიუცია, რომელიც ჩინეთში ხდება, შეგვიძლია შევადაროთ ოქტომბრის რევოლიუციას, რომლისკენაც მიქცეულია არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება. ჩინეთის ამბები დღეს ყველაფერს ჩრდილავს, მაგრამ არც ევროპაში არის სიწყნარე. ის, რაც ბალკანეთში, პოლონეთში და ჩვენს მეზობლად მდებარე სხვა სახელმწიფოებში მზადდება—ხდება საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ, რომლის ირგვლივ პროვოკაციის ქსელი არის გაბმული, მაგრამ ჩვენ არავითარ პროვოკაციის ანკესზე არ წამოვეგებით. ჩვენ დიდათ ვაფასებთ ჩვენ მშრომელ აღმაშენებელთ, მაგრამ თუ საჭირო იქნება საბჭოთა მთელი კავშირის მშრომელი ხალხი, როგორც ერთი, ისე დადგება ფეხზე. ფუჭი და ამაოა იმედები საზღვარგარეთ გადახვეწილ მენშევიკების და სხვა კონტრ-რევოლიუციონერების, რომელნიც საბჭოთა კავშირის დაღუპვის მოლოდინში ერთი-მეორეს კავშირით ეკვირან და სხვადასხვა კომბინაციებს აკეთებენ. ამაოა ეს იმედები, რადგან თუ ჩემბერლენი მუქარის ნოტას გვიგზავნის, სამაგიეროდ ინგლისის და ამერიკის მუშებს გამოაქვთ დადგენილება, რომ განმტკიცდეს მთელი ქვეყნის მშრომელთა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

რაც არ უნდა ილაპარაკონ ჩვენმა მტრებმა, ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენ წინ მივდივართ, ჩვენ თანდათანობით ვიძენთ ღონეს, ხოლო ბურჟუაზიული სახელმწიფოები, მიუხედავათ მათი უმაღლეს ტექნიკისა, განვითარებულ საწარმოო ძალებისა, დაცემის და დარღვევისაკენ მიექანებიან.

ასეთია სურათი ყველასათვის, ვისაც თვალი აქვს იმისათვის, რომ დაინახოს და ყური იმისათვის, რომ მოისმინოს. ჩვენი დღევანდელი ყრილობაც, ამხანაგებო, მოასწავებს ჩვენი აღმშენებლობის ახალ ეტაპს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყრილობა ჩვენ საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი ძალები, იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი უდიდესი მასწავლებლის ლენინის ანდერძი (ხანგრძლივი ტაში, მუსიკა).



ყრილობის პრეზიდიუმი

## ამხ. ლევანდოვსკის სიტყვა

ამხ. ფილიპეს მოხსენების შემდეგ სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის სარდალს ამხ. ლევანდოვსკის, რომელსაც ყრილობა ფეხზე ამდგარი ხანგრძლივი და მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

ამხანაგებო,—იწყებს თავის სიტყვას ამხ. ლევანდოვსკი, წითელი არმიის, პოლიტ-ხელმძღვანელების, უფროსთა შემადგენლობის და სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს სახელით მივესალმები სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას. მხურვალე სალამს ვუძღვნი საქართველოს მუშათა და გლეხთა ყრილობას იმ არმიის სახელით, რომელმაც შესძლო დაემსხვრია და გაენადგურებია არა მარტო შინაური კონტრ-რევოლიუციონური ძალები, არამედ მოკვეთა საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მოსასპობად გამოწვდილი ხელები.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია კი კვლავინდებურად შეუპოვრად სდგას ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სადარაჯოზე და უზრუნველჰყოფს მისთვის სოციალისტური მეურნეობის განვითარების პირობებს.

ამჟამად მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა შეშფოთებულია, მას მოსვენებას არ აძლევს ერთი მხრივ გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთ ქვეყნებში და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების განმტკიცება. ბურჟუაზიული ქვეყანა კარგადა გრძნობს, რომ საბჭოთა კავშირი არის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელსაც განთავისუფლებისკენ მიჰყავს მთელი ჩაგრული ქვეყნიერება. საბჭოთა კავშირის მიერ თვითეული წინ გადადგმული ნაბიჯი აახლოვებს ძველი ქვეყნის დაღუპვის,—აღსასრულის დღეს. ამიტომაც არის, რომ იგი იკრეფს თავის ძალებს და ემზადება რევოლიუციონური მოძრაობის შესამუსრავად. მაგრამ წითელი არმია უფრო ძლიერია, ვიდრე იყო ამ ათი წლის წინათ,—მაშინ, როცა მან მოუწყობელმა და შეუიარაღებელმა შესძლო საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციონური იერიშების მოგერიება. ეხლა ჩვენთან ბრძოლა უფრო ძნელია და საშიშარია; ჩვენ ვეწევით მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობას, არ გვინდა ომი, ვცდილობთ ყოველი საშუალებით მის თავიდან აცილებას, მაგრამ თუ ჩვენი მტრები მოისურვებენ ჩვენ მოსპობას, აგვიტეხენ ჩხუბს და წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ ვნახოთ, თუ ვინ ვის ჩააფარებს მაგრად. კანტონის არმიამ, რომელიც რამოდენიმე წელიწადია მოეწყო, შესძლო გაენადგურებია იმპერიალისტების მიერ უკანასკნელი ტეხნიკით აღჭურვილ ჩინელ კონტრ-რევოლიუციონერების ლაშქარი. მით უმეტეს მტერთან გამკლავების და თავისი სოციალისტური ქვეყნის დაცვას შესძლებს ჩვენი წითელი არმია, რომელსაც გავლილი აქვს სამოქალაქო ომების ცეცხლი და საუკეთესო სამხედრო გაწვრთნა. წითელი არმიის სახელით,—ათავებს თავის შესანიშნავ სიტყვას ამხ. ლევანდოვსკი, ვაცხადებ, რომ თუ დადგება მომენტი, ჩვენ შევსძლებთ მოვკვეთოთ ჩვენი მტრების მიერ ჩვენ დასახრჩობად გამოწვდილი ხელები და თითები. (მქუხარე ტაში და ოვაციები).

### ამხ. ვაშაკიძის სიტყვა

რკინის გზის მთავარი სახელოსნოების სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ვაშაკიძე, რომელიც აღნიშნავს რა საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევებს, მოუწოდებს ყველა დარგის მუშებს გულწრფელად მხარში ამოუდგენ ხელისუფლებას ამ დიდ საამშენებლო მუშაობაში.

### ამხ. ადჯნეიშვილის სიტყვა

სცენაზე გამოდის სიღნაღის მაზრის მეცხვარე მწყემსების მთელი დელეგაცია. რომელსაც ყრილობისათვის ძღვნად გამოაქვს ფარეხის მოდელი სამი ცოცხალი კრავით. დელეგაციის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ადანეიშვილი, რომელიც ყრილობას მოახსენებს სიღნაღის მაზრ. მეცხვარეთა საჭიროებებს. მწყემსთა დელეგაციას ყრილობა აღფრთოვანებით ეგებება.

### დავით კლდიაშვილის სიტყვა

ყრილობა ტაშით ხვდება ქართველ მწერალთა კავშირის დელეგაციას, რომლის სახელით სიტყვას ამბობს მცხოვანი ბელეტრისტი **დავით კლდიაშვილი**.—ქართველი მწერლობა. აცხადებს იგი უმდაბლესად მიესალმება სრულიად საქართ. საბჭოთა მოღვაწეების ყრილობას. ქართველი მწერლობა ყოველთვის იყო მშრომელ ხალხთან და დღესაც მას გულწრფელად სურს მონაწილეობა მიიღოს იმ დიდ აღმშენებლობით მუშაობაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს ჩვენი ქვეყნის კულტურულად და ეკონომიურად ასაღორძინებლად. (მქუხარე ტაში).



სიღნაღის მაზრიდან ჩამოსული მეცხვარეთა დელეგაცია, რომელიც გუშინ მიესალმა ყრილობას

### პროფ. შ. ნუცუბიძის სიტყვა

შემდეგ სიტყვას ამბობს პროფ. შ. ნუცუბიძე, რომელიც ყრილობას მიესალმება სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით.

— ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელნი,—ამბობს პროფ. ნუცუბიძე მოვედით აქ არა მარტო იმის გამო, რომ საბჭოთა აღმშენებლობა მიადგა ისეთ საკითხს, როგორიც არის ქვეყნის კულტურული აღორძინების საკითხი, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დარჩენა იმ პოლიტიკურ საკითხების გარეშე, რომელიც თქვენს წინაშე დგას. ჩვენ ყალბად მიგვაჩნია ის აზრი, თითქოს შეიძლებოდეს უნივერსიტეტის და აკადემიის პოლიტიკის გარეშე დგომა. ეს ზღაპარი დასავლეთ ევროპიდან გამომდინარეობს. ნამდვილად კი ჩვენი უნივერსიტეტი არასოდეს, არც ერთი ხელისუფლების დროს—არ მდგარა პოლიტიკის გარეშე. ჩვენი უნივერსიტეტი წარმოშვა რევოლიუციამ და რევოლიუციის განადგურება მოსპობს ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას. ამიტომ ჩვენ, უნივერსიტეტი თავის ბედს ვუკავშირებთ საბჭოთა წყობილების განმტკიცებას, რომელიც ამავე დროს ჩვენი უნივერსიტეტის წინმსვლელობის საწინდარიც არისო. (მქუხარე ტაში).

### ნ. ძიძიგურის სიტყვა

საქართველოს მასწავლებლობის სახელით სიტყვას ამბობს ნინა ძიძიგური, რომელიც აცხადებს: თუ რამოდენიმე წლის წინად მასწავლებლობა ლოიალობაზე ლაპარაკობდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ ჟამად იგი აქტიურად ჩაბმულია არა მარტო სკოლის განსაახლებლად წარმოებულ მუშაობაში, არამედ საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგებშიდაც.

### ამხ. ჭალელის სიტყვა

გორის მაზრის გლეხობის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ჭალელი, რომელსაც სცენაზე გამოაქვს გორული ხილი და ხილის სხვა პროდუქტები. იგი თვალსაჩინოდ უსურათებს ყრილობის დელეგატებს, თუ როგორი იყო (უჩვენებს ნიმუშებზე) წინათ—საბჭოთა ხელისუფლებამდე—ხილი და მისგან დამზადებული ნაწარმოები და როგორია დღეს—მას შემდეგ, რაც გლეხობას დაურიგდა მანქანები და მეხილეობის სხვადასხვა იარაღები. ამ მიღწევებს მე ვხედავ ჩემს პატარა სოფელში, მე წარმოდგენილი მაქვს თუ რა დიდი იქნება საბჭოთა ხელისუფლების ღვაწლი სხვა კუთხეებში.—ათავებს თავის სიტყვას გორელი დელეგატი.

### მუხამედ ცივაძის სიტყვა

აჭარისტანის ფუხარა მოსწავლე ახალგაზრდობის სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ახალგაზრდა მუხამედ ცივაძე, რომელიც საკმაოდ ვრცლად აცნობს საბჭოთა დელეგატებს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს კულტურულ და სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგებში.

დასასრულ ყრილობა ისმენს აფხაზეთის წარმომადგენლის ამხ. ლაკობას ქალის მისალმებას აფხაზურ ენაზე.

ამხ. მამაცაშვილის მიერ ხაშურის საყუდის მუშების სახელით წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვის შემდეგ, საქ. ცაკის მდივანი ამხ. ს. თოდრია კითხულობს აზერბეიჯანის ცაკისა და სომხეთის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობისათვის გამოგზავნილ მისასალმებელ დეპეშებს, რომელთაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

ამხ. თოდრიას წინადადებით ყრილობა ერთხმად მქუხარე ტაშის ცემით ადგენს მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს და ამხ. ს. ორჯონიკიძეს.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი საზეიმო სხდომა.

გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე

# სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა

## საქ. ცაკის მისალმება მოძმე რესპუბლიკებს

### სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. კარინიანს

საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალედ ვესალმები მოძმე სომხეთის საბჭოთა ყრილობას. სომხეთის ყველა მშრომელებთან ერთად საქართველოს მუშები და გლეხები გულწრფელ სიხარულს განიცდიან თქვენი წარმატებათა გამო ახალი ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე აღმშენებლობაში. დეე! განმტკიცდეს ჩვენი კავშირი ამიერ-კავკასიის მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და სრული ერთობის საფუძველზე.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

### ყირიმის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს, ამხ. იბრაგიმოვს

მხურვალე სალამი საქართველოს მშრომელთა სახელით ყირიმის საბჭოთა მეხუთე ყრილობას და ყირიმის რესპუბლიკის ყველა მშრომელთ. თუმცა წარმომადგენლის გაგზავნა ვერ მოხერხდა, მაგრამ ყირიმის და საქართველოს მშრომელნი განუყრელად არიან შეკავშირებულნი, როგორც ბრძოლის ველზე, ისე სოციალიზმის აღმშენებლობაში. უსურვებ ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას და შემდგომ წარმატებებს.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

## მისალმებები სრ. საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობას

### ქუთაისი

ქუთაისის მაზრის მშრომელი გლეხობის სახელით მხურვალე და გულწრფელი სალამი საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას. გისურვებთ აღსავსე ენერგიით ყველა საკითხების გადაჭრას, რომელიც სდგას თქვენს წინაშე და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ქუთაისის მაზრის მშრომელი გლეხობა ფიცს სდებს თქვენს წინაშე, რომ ის მუდამ მზად არის აქტიურად ჩაებას ყოველგვარ საქმიანობაში თქვენთან ერთად. გაუმარჯოს მეოთხე საბჭოთა ყრილობას, გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

### გორი

გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მშრომელთა ნებისყოფის გამომხატველ უმაღლეს ორგანოს, საბჭოების მეოთხე ყრილობას. საბჭოთა ხელისუფლებამ ლენინურ პარტიის დროშის ქვეშ გზა გაუხსნა ქვეყნის არაჩვეულებრივ ეკონომიურ განვითარებისაკენ და შორს არაა ის დრო, როდესაც გლეხური მეურნეობის საქართველო გარდაიქმნება ინდუსტრიალურ ქვეყნად. უდიდესი აღმშენებლობითი მუშაობის პროცესი აცხოველებს საქართველოს მშრომელთა მასების თვითმოქმედებას, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ გაძლიერებისაკენ. საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მშრომელთა ფართო დახმარებით გადალახავს ყოველივე დაბრკოლებებს. მას არ შეაშინებს არავითარი სიძნელენი და ეკონომიური აღორძინების და აყვავების გზაზე დამდგარ საქართველოს მშრომელთ მიიყვანს ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

### ზემო სვანეთი

ზემო სვანეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი პირველად ისტორიაში უძღვნის მხურვალე სალამს ტელეგრაფით საქართველოს საბჭოთა ყრილობას. გისურვებთ ერთსულოვნობას და ნაყოფიერ მუშაობას. გაუმარჯოს საქართველოს მეოთხე ყრილობას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას.

### დიდი ჯანი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას რწფელი გულით ვუძღვნით სალამს. ვუსურვებთ მუშურ გლეხურ საბჭოთა მთავრობას გამარჯვებას ყველა ფრონტზე.

### ველისციხე

ველისციხის პარტთემკომი და აღმასკომი გიძღვნით სალამს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. ვიმედოვნებთ, ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობაში შინაური და საგარეო მდგომარეობის განმტკიცება უფრო ჩქარი ნაბიჯით ივლის წინ საბჭოთა კავშირის მტრების გულში ლახვარის ჩასაცემათ. გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასს და მის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს სრულიად საქ. მეოთხე საბჭ. ყრილობას!

ვორსიმაშვილი, საჩიშვილი.

### ერევანი

სომხეთის ცაკის პრეზიდიუმი და სახალხო კომისართა საბჭოთა რესპუბლიკის მუშების და გლეხების სახელით მხურვალედ ესალმება მოძმე საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას, საქართველოს, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში წარმატებით აშენებს სოციალიზმს, ღრმად გვრწამს, რომ ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხები ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით აღადგენენ ქვეყნის მეურნეობას სოციალისტურ საფუძველზე და მტკიცედ განაგრძობენ სვლას სოციალიზმისაკენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ყრილობას!

სომხეთის ცაკის თავმჯდომარე: კარინიანი.
სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე: ამბარცუმიანი.

### ბაქო

აზერბეიჯანის ცაკი მხურვალედ ესალმება სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას და მისი სახით მოძმე რესპუბლიკის ყველა მშრომელებს, უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას ქვეყნის ეკონომიური ძლიერების და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში. აზერბეიჯანის ცაკი იმედს გამოსთქვამს, რომ ნაციონალური სოლიდარობით, დიდი ბელადის ანდერძის მიხედვით ჩვენ ავაგებთ მსოფლიოში სოციალიზმის პირველ შენობას, რომელიც მიიზიდავს მთელი მსოფლიოს მშრომელებს.

გაუმარჯოს ნაციონალურ სოლიდარობას! გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობას! გაუმარჯოს მოძმე საქართველოს მშრომელთ.

აზერბეიჯანის ცაკი.

## ყრილობის დარბაზიდან

### (შთაბეჭდილებანი)

რუსთაველის თეატრი ირთვება. იკაზმება ბუმბერაზი შენობა, თითქოს პატარძალი, და მოელის სტუმრებს

ქოჩორზე წითელი ბანტები მოუბამს ვარსკვლავის ქიმძისთავებით, წითელი საყელურები გამოუსკვნია და წინსაფარიც აუფარებია კოხტად წითური, იკაზმება და ირთვება თეატრი და მართებს კიდეც, დიახ რომ მართებს მორთვა-მოკაზმვა, დღეს ბუმბერაზ შენობას უზენაესი ეწვევა სტუმარი, დღეს მის კედლებში უზენაესი ითქმება სიტყვა და განა შეშფერის მას მოურთველი, მოუკაზმავი შეხვდეს დიდ სტუმარს?

დიახაც მართებს და აკი, დილიდან, გუშინდანვე დატრიალებენ თავს ხელოვანი პირფარეშები, გუშინდამვე უვარცხნიან ქოჩორს, და რთავენ სამკაულებით. ამიტომ არის ის ასეთი პირმცინარი, გულგაშლილი და შორითვე მიმზიდველი შვენის ვარსკვლავი განიერ შუბლზე წითელი საყელურიც ხომ ზედ გამოჭრილია. და წინსაფარიც პატარძალივით აკრავს კოხტად, სადათ ლამაზად.

და უხარია რუსთაველის თეატრს. უხარია რომ მის კედლებში დღეს გაიხსნება დიდი ყრილობა, და ყრილობის პირველი სიტყვა, პირველი ბგერა მისი კედლებიდან მოეფინება მთელ საქართველოს.

—

ადრეა თითქო, მაგრამ კარებთან რიგია უკვე. მოდიან დელეგატები, მოდიან სტუმრები, მოდიან მუშები, გლეხები, ხნიერი და ახალგაზრდები, მიდიან მშრომლები მშრომელთ უზენაეს ორგანოს სხდომის დარბაზში.

ბევრს იტევს გულღია დარბაზი, დღეს ის არ ჰყოფნის: იცის რა დღეა, იცის ვინ მოდის და ამიტომ არის გაღებული ასე ფართოდ მისი კარები მშრომელთათვის, მაგრამ უხვ და ვრცელ რუსთაველის თეატრის ტევადობასაც აქვს საზღვარი. ყელამდის იმსება იგი, სავსებით ივსება და იტვირთება მაგრამ მსურველთა დატევა მაინც არ ძალუძს, მაინცარ შეუძლია, სტუმართ-მოყვარე და ვრცელ დარბაზს. ბევრი რჩება მის გარეთ, დერეფანში კი მუშაობა გაცხარებულია: სწარმოებს რეგისტრაცია, ფუსფუსებენ გამწესრიგებლები, ჩვეულებრივ ტრიალებს და განკარგულებებს იძლევა ქალაქის კომენდანტი ამხ. აბაშიძე და წითელი გუშაგები დგანან სადარაჯოზე.

დარბაზი გამსილია ზომაზედ მეტად. დარბაზი გაჭედილია უამრავ ხალხით. ატმოსფერა დათენთილია სიცხით და გაულენთილი ათასეულთა ხმაურით, ჯერ კიდევ ადრეა, სხდომის გახსნამდის დრო გავა კიდევ, მაგრამ ხამები დატვირთულია: ძირსაც, ქანდარებზეც და ლოჟებშიაც არ არის ტევა. ხმაურობს ხალხი და ელოდება; ელოდება და ათვალიერებს თეატრის დარბაზს, რომელიც დღეს აფერადებულია არაჩვეულებრივ.

მაღლა თაღზე თითქოს ცაზე ამოსულა ხუთწვერიანი წითელი ვარსკვლავი, როგორც სხივები თაღის მანძილზე გაწოლილან, წითელი ფერის ლენტები. ლოზუნგებით ამოქარგული. ვინ აიტანა ნეტა ვარსკვლავი იმ სიმაღლეზე? რომელი ხელი მისწვდა იქ, ამ ბუმბერაზ დარბაზის კეფას და ისე ცოცხალ ვინ მიაკრა შუაზე ამხელა ვარსკვლავი? მაგრამ რას ვკითხულობ? განა ასვლაა საჭირო თაღზე? განა ცის თაღზე ასულა ვინმე? ცაზეც ხომ ბრწყინავს ჩვენი ვარსკვლავი.

დიახ, რომ ბრწყინავს და ისე ძლიერად, რომ აღმოსავლეთის ჩაგრულ ერებსაც აწვდის თავის შუქს, დასავლეთშიაც სტყორცნის თავის სინათლეს და მთელ ქვეყანაზე ისე მოსჩანს მძლავრი და გასხივოსნებული, როგორც ეს ხელოვნური, თაღზე მიკრული ხუთწვეტიანი ვარსკვლავი მოსჩანს სხდომის დარბაზში.

დარბაზი მორთულია წითელი ფერით, წითელ ლენტებით, ხოლო ლენტები ამოქარგულია მკვეთრ ლოზუნგებით, დატვირთულია მხურვალე სალამით და წრფელ სურვილებით.

ასე ეგებება რუსთაველის დარბაზი უზენაეს სტუმარს,—საბჭოთა მეოთხე ყრილობას.

—

უცბად იხდება სცენიდან ფარდა. მძლავრი მოქნევით იპობა მწვანე კედლები, გარბიან ფარდებიდან თვალწინ იშლება სანახაობა. სცენაზე ზაჰესი აუგიათ, სცენაზე ზაჰესი სდგას ცემენტის სვეტებით და სვეტებს წინ წვანან ტურბინები ჩახუტებული, როგორც ძმები განუყრელი.

ზაჰესი!.. ეს ხომ სინათლის და ძლიერების წყაროა! ის ხომ საბჭოების პირმშო შვილია და განა უკეთეს ადგილს თავის საჩვენებლად იშოვიდა იგი?!

ბარაქალა ზაჰეს!

ბარაქალა, რომ მოსულხარ აქ, მშრომელი ხალხის უზენაეს ორგანოს წინაშე და შენ, ვაჟკაცურ მკლავებს-ტურბინებს, ძარღვებს დაჭიმულს და კუნთებ ამოკვეთილს აქ უჩვენებ მას, ვინც შენ გშობა, გზარდა და დღე ღამ ზრუნავდა შენს დავაჟკაცებაზე ვაჟკაც ზაჰეს!

ზაჰესის წინ პრეზიდიუმის მაგიდაა, მაგიდასთან კიდევ ამხანაგი ფილიპე, მიხა ცხაკაია, სილვა თოდრია, შალვა ელიავა, მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი გ. ყურულიშვილი და სხვა ხელმძღვანელთა ძველი გვარდია.

ზარი.

იხსნება სხდომა,

ლაპარაკობს ამხ. ფილიპე. იგონებს ძველ მებრძოლებს: ფრუნზეს, ძერჟინსკის, კრასინს...

მუსიკა მჭვითინებს სამგლოვიარო ჰანგებით და თავდახრილი ფეხზე დამდგარი იხმენს ამ ქვითინს მდუმარე დარბაზი კვლავ ლაპარაკობს ამხ. ფილიპე. დარბაზის გონება მან დასავლეთის ციხე-ჯურღმულებისაკენ გადაისროლა, იქითკენ, სადაც ათასები, ათიათასი იტანჯებიან, სადაც ვინ იცის, იქნებ ეხლაც ოთხკედელს შუა, ჯალათის მიერ ნაწამები, განატანჯი მებრძოლი მწარედ კვნესის ტკივილებისაგან და იმედიანათ იყურება აღმოსავლეთში ამომავალ ვარსკვლავისაკენ..,

ისევ მუსიკა... ბრძოლის საყვირათ აყვირებული, გამხნევების, ინტერნაციონალურ სოლიდარობის ხმა“,—დაძახილი,—ინტერნაციონალის მძლავრი ხმები იკავებს დარბაზს... და განა მარტო დარბაზს?!

მიკროფონია აქ და ხარბად იჭერს თვითეულ ბგერას, იჭერს და ესვრის მსოფლიო სივრცეს, ჰფანტავს ეთერში, მთელ ქვეყანას დებს და ვინ იცის..., იქნებ ტუსაღმაც, კაპიტალის ქვეყნებში რომ იტანჯება—მოჰკრას მას ყური, გამხნევებისა და სოლიდარობის შორიდან მოფრენილ ჰანგებს.. ვინ იცის...

კვლავ ლაპარაკობს ამხანაგი ფილიპე: ესალმება საკავშირო ცაკს, სახკომსაბჭოს, ფოლადისებურ მებრძოლთა რიგებს—კომპარტიას და მის შტაბს ცაკას, კომინტერნს.

ის ესალმება ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ორგანოებს და მოძმე ერებს—სომხეთს, აზერბეიჯანს, მქუხარე ტაშით იფარება თვითეული მისი სიტყვა და მასთან ერთად მთელი ყრილობა, მთელი მშრომელი საქართველო უგზავნის მხურვალე სალამს მათ.

—

ყრილობა ირჩევს საქმიან ორგანოებს, საპატიო და საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო კომისიას, ამტკიცებს რეგლამენტს, დღის წესრიგს. ამხ. ფილიპე მახარაძე ამბობს შესავალ სიტყვას და იწყება მისალმებები.

ამხ. ლევანდოვსკია ტრიბუნაზე. ის წითელი არმიის მეთაურია, წითელ მებრძოლთა სახელით მოსულა აქ, იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ სთქვას: განმტკიცდა, გაიზარდა ჩვენი არმია. მტერი მზადებაშია მაგრამ არც ჩვენ გვძინავს. ჩვენ არავის ვებრძვით მაგრამ თუ ვინმე შეგვებრძოლება ვნახოთ ვინ ვის მოსტეხს ცხვირს.

დიდხანს უკრავს ტაშს ყრილობა წითელ არმიის მეთაურს, დიდხანს ესალმება მისი სახით წითელ არმიას, მშრომელთა რესპუბლიკების ერთგულ და შეუვალ გუშაგს.

მთავარ სახელოსნოს მუშებს ამხ. ვახო ვაშაკიძე გამოუგზავნია თავის დელეგატათ. აგერ სიღნაღის მაზრიდან ჩამოსულან მწყემსები. მათ პატარა ფარეხი მოუწყვიათ, ზედ სამი კრავი დაუსვამთ და ათიოდ კაცი მოსულა აქ ქვეყნის უზენაეს მმართველებთან, რათა მიართვან თავის სალამი, ჭირნახული და გაუზიარონ თავის ჭირვარამი, ტკივილებზე ილაპარაკონ. და აკი ლაპარაკობს ერთი მათგანი ცხვარზე, საძოვრებზე, —მეცხვარეთათვის მუდამ მტკივან და სანუკრავ საფიქრავზე.

მეცხვარეებს პროფესორი ცვლის. ჩვეულებრივ მჭერმეტყველებს შალვა ნუცუბიძემ, ის აცხადებს, უმტკიცებს ყრილობას, რომ უნივერსიტეტი არასოდეს ყოფილა პოლიტიკის გარეშე, ნეიტრალური. ის არც დღეს სდგას პოლიტიკის გარეშე. მთელ ქვეყანასთან ერთად მუშაობს სამეურნეო კულტურულ ფრონტზე და კვლავ იმუშავებს მთელი თავის შეძლებით, ძალღონით, გამოცდილებით და ცოდნით. კიდევ ის სთქვა პროფესორმა, რომ მოძმე ერთა უნივერსიტეტებს ახარებს ურთიერთ მიღწევები, რომ აღარ არის კაციჭამიობა და „მეც წავხდი, მაგრამ შენც წაგახდინე“-ს. ფორმულა საბჭოთა ხელისუფლების დროს აღარავის გამოადგება.

პროფესორს მცხოვანი მწერალი, მოხუცი დავით კლდიაშვილი ცვლის. მას მწერალთა მთელი გუნდი მისდევს: იაშვილი, გაფრინდაშვილი, ტაბიძე, გრიშაშვილი, აბაშელი.

მასწავლებლებს ნ. ძიძიგური გამოუგზავნიათ; ყველა ისინი ასე ამბობენ: თქვენს მძლე მარჯვენას ჩვენც შეუერთდე, ერთად ვიშრომოთ საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის.

აგერ გორელი გლეხები მოდიან. მათ ვაშლები მოუტანიათ, ხმელი ჩირები კიდევ. თან გამოაქვთ ხის ყუთებით სცენაზე.

ეს ნიმუშები საჩვენებლად მოგვიტანია, ამბობს ერთ-ერთი.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ბევრი რამ ვისწავლეთ. ჩვენმა მთავრობამ ბევრი რამ მოგვცა. ჩირებს მანქანებით ვაკეთებთ და დახეთ? შეადარეთ ხელით ნაკეთები მანქანის ნამუშევარს?! განმარტეთ ჩირებს? ტრაქტორები გვაქვს, ახალი წესით ვიწყებთ მუშაობას, გვასწავლიან და ვსწავლობთ

გაუმარჯოს ჩვენ მთავრობას, ძირს იმპერიალისტები, მუშტების ქნევით ამბობს ორატორი და ტაშის გვრგვინვაში აღარ ისმის რას ამბობს კიდევ მუშტების ქნევით. აჭარელი ახალგაზრდა ცვივდა, ლამაზ სიტყვაში აცნობს ყრილობას აჭარისტანის მშრომელთა მიღწევებს.

ზაჰესის მუშებსაც გამოუგზავნიათ დელეგატები, მათ სამუშაო იარაღების კომპლექტი მოუძღვნეს ყრილობას, მარწუხი და ჩაქუჩიც არის კომპლექტში. —ამ მარწუხით ამოვგლეჯთ კბილებს ყველა იმათ ვინც ჩვენზე გამოილაშქრებს—აცხადებს დელეგატი, მოკლედ და გადაჭრით.

— ჰაი, ჰაი, რომ დავითხრით.

კიდევ ბევრია მისალმების სურველი მაგრამ გვიან არის უკვე.ხელოვნების მუშაკნი მომზადებულან. კონცერტია, წარმოდგენაა...

ყრილობა მისალმებელ დეპეშას იღებს

ხვალ იწყება საქმე... ხვალ იწყება მშრომელთა უზენაეს ორგანოების ძარღვებ დაჭიმული მუშაობა.

გ. ვ—ძე.

28 მარტი.
რუსთაველის თეატრი.

# ხელები შორს ჩინეთისაგან

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

**მოსკოვი,** 27 მარტი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ყველა მუშებს, მუშა-ქალებს, მშრომელთ, მშრომელ ახალგაზრდობას და მთელი ქვეყნის დაჩაგრულ ერებს. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მოხდა მხეცური ბოროტმოქმედება. „განათლებულმა“ ბარბაროსებმა ამერიკის და ინგლისის იმპერიალისტების მეთაურობით დაარბიეს და გაანადგურეს ნანკინი, მიწასთან გაასწორეს მუშათა უბნები და ყუმბარებით ამოჟლიტეს რამოდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. მათ ეს ჩაიდინეს იმისათვის, რომ ჩინეთის რევოლუციის უკანასკნელმა გამარჯვებამ საფრთხეში ჩააგდო იმპერიალისტების ბატონობა ჩინეთში. ინგლისელებმა უკვე ამოჟლიტეს ჩინეთის ქალაქის ვანსიანის მცხოვრებნი. ეხლა კი იმპერიალისტების შეერთებულმა ძალებმა ინგლისელების და ამერიკელების მეთაურობით გაანადგურეს ნანკინი. შეიძლება რამოდენიმე საათის შემდეგ ამ „განათლებულმა“ მხეცებმა თავის „საერთაშორისო“ პლაცდარმიდან ყუმბარები დაუშინონ შანხაის.

კომინტერნის აღმასკომი მოუწოდებს ყველა მშრომელთ, ყველა მუშებს და გლეხებს, ყველა ჩაგრულთ ააფრიალონ მრისხანე პროლეტარიატის დროშა ახალ ჯალათური ომის წინააღმდეგ. აღმასკომი მიმართავს მსოფლიოს ყველა კოლონიალურ დაჩაგრულ ერებს და მოუწოდებს მათ განაცხადონ სასტიკი პროტესტი იმპერიალისტების ძალადობის წინააღმდეგ ჩინეთში.

აღმასკომი მიმართავს მსოფლიო ყველა მუშათა ორგანიზაციებს მოწოდებით აწარმოონ რაც შეიძლება ენერგიული ბრძოლა ახალი ომის წინააღმდეგ.

მოაწყვეთ ფართე საპროტესტო დემონსტრაციები ამ მუხანათური ომის წინააღმდეგ, მოითხოვეთ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ჩინეთიდან, ყოველივე ზომებით ხელი შეუშალეთ ახალი ჯარების და იარაღების გაგზავნას, ეცადეთ, რომ ყოველ ნაბიჯზე გამოაშკარავოთ ყველა იმათი სიმხდალე და მოღალატეობა, ვინც ხელს აფარებს ახალი ომის ჯალათურ ბუნებას. ყველა ძალებით და ყველა საშუალებებით ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩინეთის დიად რევოლუციას“.

## ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

**მოსკოვი,** 28 მარტი. ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომმა იმპერიალისტების არმიის და ფლოტის ჯარისკაცებს და მეზღვაურებს ჩინეთში მიმართა მოწოდებით იბრძოლონ ჩინეთიდან იმპერიალისტური ჯარების გაყვანისათვის, არ ესროლონ ჩინელებს, რომლებიც იბრძვიან ნაციონალურ თავისუფლებისათვის და დაუძმობილდნენ რევოლუციონური არმიის ჯარისკაცებს და შანხაის და ნანკინის მუშებს.

# საბჭოთა კავშირის მშრომელნი ესალმებიან ჩინეთის პროლეტარიატს

**მინსკი,** 28 მარტი. შესდგა გრანდიოზული დემონსტრაცია ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციონური ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად. დემონსტრაციები იმართება აგრეთვე ბელორუსიის სხვადასხვა ქალაქებში.

**სამარყანდი,** 28 მარტი. წითელ მოედანზე შესდგა მშრომელთა მიტინგი შანხაის აღების აღსანიშნავად.

**ტაშკენტი,** 28 მარტი. ტაშკენტის რაიონის კიშლაყში შესდგა მიტინგი ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციონური ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად. მიტინგები გაიმართა აგრეთვე თვით ტაშკენტში. (ადს).

**ოზურგეთი,** 28 მარტი. ოზურგეთის მუშა-მოსამსახურეთა, მოქალაქეთა და ქალაქში მდგომ წითელარმიელთა დემონსტრაციამ მოისმინა ამხ. გურგენიძის მოხსენება ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობის შესახებ, რომლის მიზანია ჩინეთის ასეულ მილიონიან ჩაგრულთა განთავისუფლება მსოფლიო იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან და რომლის გამარჯვების შედეგი იქნება სხვადასხვა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ერთა ამოძრავება მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად საერთაშორისო დრომოჭმულ, დახავსებულ კაპიტალიზმ-იმპერიალიზმის წინააღმდეგ. დემონსტრაცია აღფრთოვანებით ეგებება ჩინეთის და, აგრეთვე, მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო ცენტრის,—შანხაის აღებას. შანხაის აღება ჩინეთის მშრომელთა და მისი რევოლუციონური, ნაციონალური არმიის მიერ—არის შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო იმპერიალიზმის, კერძოთ ინგლისის პოლიტიკის დამარცხების ისტორიული აქტი, ამავე დროს სრული გამარჯვება და კომინტერნის ხაზის—კოლონიალური ქვეყნების განთავისუფლების განაღდება.

გაუმარჯოს ჩინეთის მებრძოლ რევოლუციონურ არმიას!

გაუმარჯოს შანხაის განთავისუფლებულ პროლეტარიატს!

ჩვენი თანაგრძნობა და აქტიური დახმარება მათ.

# იტალია სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

## იტალიის დესანტი ალბანეთში

**ვენა,** 28 მარტი. რომიდან მიღებულ ცნობით, იტალიის მთავრობა ალბანეთის საკითხის შესახებ დიპლომატიურ გამოსვლის წინ ემზადება ვალონის ოკუპაციისათვის იმ მოსაზრებით, რომ შესაძლოა ალბანეთის პრემიერის ფანოლის მომხრეებმა განიზრახონ ახმედ ზოგუს ჩამოგდება. იტალიის ნავთსადგურ ბარიდან იგზავნება ახალი დესანტი. ბრინდიზიში თავმოყრილია მნიშვნელოვანი საზღვაო ძალები.

სამხრეთ სლავიის მოთხოვნით ინგლისის ელჩმა რომში ზეგავლენა მოახდინა იტალიის მთავრობაზე იმ მომენტში, როცა იტალიის პრესამ დაიწყო გაფთრებული კამპანია სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ სამხედრო გამოსვლის მომზადების მიზნით. ერთა ლიგის ჩარევამ აიძულა იტალია შეეწყვიტა ეს კამპანია. მიუხედავათ ამისა ვალონში და დურაცოში განუწყვეტლივ იგზავნება იტალიის ტრანსპორტები სამხედრო მასალით.

## გამოძახილი ოსმალეთში

**ანგორა,** 27 მარტი. უკეთებს რა ანალიზს ბალკანეთის ამბებს, ოფიციოზი „ხაკიმიეტ მილიე“ აღნიშნავს, რომ ოსმალეთის მთავრობა ბალკანეთის სახელმწიფოებს ყოველგვარ კავშირს ოსმალეთის გარეშე, ჩასთვლის, როგორც მტრულად განწყობილს. (ადს).

# სამარცხვინო ბოძზე

## („პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

მოხდა გაუგონარი, შემაძრწუნებელი ბოროტება. ინგლის-ამერიკის ყაჩაღებმა ცეცხლს მისცეს უზარმაზარი ქალაქი, ნახევარი მილიონი მოსახლით. ყუმბარებით დახოცეს, გადასწვეს და უსახლკაროდ დასტოვეს ათასობით ხალხი. რა წამსაც ნანკინზე აფრიალდა რევოლუციის დროშა, ინგლის - ამერიკის ესკადრამ დაუშინა ყუმბარები ქალაქს. ყაჩაღებმა პირნათლად შეასრულეს თავისი საქმე. მათ იცოდენ, თუ რით ესროდენ —მძიმე არტილერიით, ცეცხლის გამჩენ ყუმბარებით. მათ იცოდენ, თუ სად ისროდენ: იქ, სადაც უფრო მჭიდროა მოსახლეობა, სადაც მეტი ქალები და ბავშვებია, სადაც ნანკინელი მუშები, რომლებიც დღეში ერთი - ორი გროშისთვის მუშაობენ კატორღულ პირობებში, შეხიზნული არიან ქოხმახებში. ესროდენ ბავშვებს ექვსდიუმიან ზარბაზნებიდან. ასე ბრწყინვალედ და ასე „ჰუმანიურად“ იცავდა „ცივილიზაციას“ ვილიამსი, ამირბარ - იროდი, რომელმაც 20 წამში დაფარა გვამებით ნანკინის ქუჩები და გადასწვა ნახევარი ქალაქი. ამ „გმირის“ სახელს არ დაივიწყებს ისტორია, მას არ დაივიწყებენ ჩინელები, მას არ დაივიწყებს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატი.

სისხლში ჩაახრჩვეს მშვიდობიანი მოსახლეობა. ბურჟუაზია ამას ტაშს უკრავს. ხარობს იმპერიალისტური პრესა. ზეიმობენ მოსყიდული გაზეთები—თუმცა ნანკინი იწვის, მაგრამ აღდგენილია თავის უფლებებში „შელახული ცივილიზაცია“. ზეიმობს ოქროს ბრბო. ზეიმობენ ინგლისელ და ამერიკელ ოფიცრების საყვარლები — მათი „მეგობრები“ ხომ მიიღებენ ჯილდოს იმისათვის, რომ მძიმე არტილერიიდან დაუშინეს ყუმბარები პაწაწინა ბავშვებს. ზეიმობს და სიხარულით ტაშს უკრავს მსოფლიოს შავი რაზმი: ხომ „დააშინეს“ ჩინეთის რევოლუცია — ნანკინი აღარ არის, მაგრამ „პრესტიჟი“ აღდგენილია.

თურმე ინგლის - ამერიკის ჯალათები, დახეთ, „თავს იცავდენ“, თურმე მათ თავს დასხმიან. ძველი გაცვეთილი სიმღერა. ჩვენ მათ არ უჯერით. ჩვენ არ უჯერით იმპერიალისტურ რადიოს ცნობებს, ყაჩაღთა და მკვლელთა ცნობებს. ეს ცნობები თავიდან ბოლომდე სიცრუეზეა აშენებული, ამ ცნობებს ასდის ნანკინელი მუშების, ღარიბი მოსახლეობის, მათი ცოლების, დედების და შვილების ჯერ კიდევ თბილი სისხლის სუნი, მათი სისხლის, ვინც ტანჯვით კვდებოდა და წყევა - კრულვას უგზავნიდა იმპერიალისტებს.

ნანკინის სასაკლაოთი და სისხლ უძღები ხოცვა - ჟლეტით საერთაშორისო იმპერიალიზმმა თავისი თავი საუკუნოდ გააკრა სამარცხვინო ბოძს.

ნანკინის სასაკლაო არკვევს შემაძრწუნებელ მდგომარეობას. დღეს ბრმამაც კი უნდა დაინახოს იმპერიალისტური პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი ჩინეთში. დიდი ერის მძარცველებმა დღეს საბოლოოდ ჩამოიხადეს ნიღაბი და გამოდიან აშკარად.

ეხლა ნათელია, რომ იმპერიალისტების პოლიტიკა არის სისხლისა და რკინის პოლიტიკა. ისინი მოქმედებდენ ბიბლიით. ჩინეთის ხალხს მისიონერები სწამლავდენ რელიგიური საწამლავით ისევე, როგორც ვაჭრები — ოპიუმით. ისინი მოქმედებდენ დოლარითა და კაპიტალით. ეხლა მოქმედებენ კეტით—კარტეჩითა და ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარებით. მთელი ქალაქისათვის ცეცხლის წაკიდება მიწასთან მისი გასწორება, ათასობით ჩინელის განადგურება, თითქოს რომელიღაც იმპერიალისტური აგენტის დაჭრის გულისთვის, არაფრად უღირთ თანამედროვე ჰანნიბალებს.

ნანკინის სასაკლაომ კიდევ იმით გამოარკვია მდგომარეობა, რომ მან ძირბუდიანად გამოამჟღავნა შეერთებული შტატების პოზიცია. შეერთებული შტატები დიდხანს თამაშობდა ჩინეთის რევოლუციის ლიბერალურ „კეთილის მსურველის“ როლს. ეხლა, იმის შემდეგ, რაც ყველამ დაინახა ამოქმედებული „ინგლის-ამერიკის ბლოკი“, —[illegible] გასაგებია, რომ ამერიკა [illegible] მხოლოდ ცხვრის ტყავში გახვეული მგელი, რომელიც ასე საზიზღრად გამოძვრა უკვე ამ ყალბ ტყავიდან. გეორგ ვაშინგტონისა და „დამოუკიდებლობის დეკლარაციების“ ქვეყანა ჩინეთის წინაშე დღეს წარსდგა ყაჩაღ ვილიამსის სახით, ვილიამსის, რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო ჩინეთის ხალხის დამოუკიდებლობა.

ნანკინი შესჩივის თავის უბედურებას არა მარტო ჩინეთს, არამედ მთელ მსოფლიოსაც. შავიჭირისებური შმორის სუნი ასდის იმპერიალისტურ ცივილიზაციას. ინგლის-ამერიკის ესკადრამ დახვრიტა ნანკინი, მაგრამ ამითვე მან დახვრიტა და ძირი მოუთხარა რწმენას მოწინავე იდეებსა და მშვიდობის მოყვარულობისადმი, რომლებითაც იმპერიალისტურ ცივილიზაციას თავი მოაქვს მასების წინაშე. სად არის კაპიტალისტური „კულტურა“? ეხლა ის განსახიერებულია ნანკინის დახვრეტილ შენობებსა და ცეცხლის წამკიდებელ ყუმბარებში. სად არის კაპიტალისტური „ჰუმანიურობა“? ის ამოსვრილია ჩინელ ქალთა და ბავშვთა სისხლში. სად არის ამერიკის სახელგანთქმული „დემოკრატიზმი“? ის მთლიანად არის ინგლის-ამერიკის ოფიცრობის მხეცურ გმირობაში, საზიზღარ ვილიამსის ბრძანებაში. სიკვდილის ველურ ზეიმში, სისხლიან ულტიმატუმებში და ბავშვებისათვის ყუმბარების დაშენაში ჯავშნოსან გემებიდან.

სად არის ჩინეთის შინაურ საქმეებში „ჩაურევლობის“ პოლიტიკა? ის მთლიანად ნანკინის მშვიდობიან მოქალაქეთა დახვრეტაშია. შვიდი ათასი მოკლული ჩინელი—ეს იმპერიალისტური „ჩაურევლობის“ საზარელი ნაყოფია.

თქვენ, ჩინეთის თავისუფლების ჯალათებო! სულ ერთია თქვენ მას ვერ მოუხრჩობთ ქედს. თქვენ დახვრიტეთ ათასები, მაგრამ თქვენს წინააღმდეგ კიდევ უფრო შემჭიდროვდებიან უამრავი, მილიონი და ასი მილიონი ჩინელები. ჩინეთის რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს, მისი სავალი გზაც რომ მოჰფინოთ გვამებით.

თქვენ, „კულტურის მატარებელნო“! საერთაშორისო პროლეტარიატს თქვენ ვერ გამოაპარებთ თქვენს საზიზღარ თამაშს. ის აღსდგება მათ დასაცავად, ვისაც თქვენ სწვავთ ცოცხლად, ის სამარცხვინო დაღს დაასვამს თქვენს მხეცობას ნანკინში, თქვენს მიერ ჯალათობაში მიღწეულ რეკორდს. ის არ დაივიწყებს თქვენს სამარცხვინო საქციელს ნანკინში. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია შეეცდება თქვენი შავი საქმის გათეთრებას, მისგან ხელის დაბანას, მაგრამ ყოველი პატიოსანი პროლეტარი მოგახლით პირში: ყაჩაღებო, მხეცებო, ჯალათებო! ის მიიღებს ზომებს შემდგომი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ ჩინეთში და სხვა ქვეყნებში.

იცოდეთ თქვენ, „განათლებულო“ ჯალათებო, რომ ათი მილიონი ორგანიზაციულად დარაზმული საბჭოთა პროლეტარიატი გიგზავნით თქვენ წყევა-კრულვას,იცოდეთ,რომ თქვენს მიერ ნანკინში მოხდენილ ხოცვა-ჟლეტის ამბის გაგონებაზე სისხლი მრისხანედ დუღდება ყოველი საბჭოთა მუშის ძარღვებში. კიდევ უფრო მტკიცედ დაუახლოვდება საბჭოთა კავშირის მუშა მრავალტანჯულ ჩინელ მუშას.

იმპერიალისტებმა დასწვეს ნანკინი. იმპერიალისტები ფეხქვეშ სთელავენ ჩინეთის ხალხს, რომელიც მისწრაფვის თავის საოცნებო მიზნისაკენ—თავისუფლებისაკენ.

მთელი ქვეყნის მშრომელნი სამარცხვინო ბოძზე აკრავენ იმპერიალისტებს და თავის მხურვალე სალამს უგზავნიან ნანკინის მშრომელთ, ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტანჯულთ. და უფრო მძლავრად, ვიდრე ოდესმე, უნდა გაისმას მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის ხმა: „ხელები შორს ჩინეთისაგან“!

დაე, იცოცხლოს ჩინეთის დიდმა რევოლუციამ!

მოსკოვი, 27 მარტი.

# იმპერიალისტები ხოცვა-ჟლეტას ამზადებენ შანხაიში

## იაპონია და ამერიკა ახალ ჯარებს გზავნიან ჩინეთში

## კომინტერნის მოწოდება ნანკინში მომხდარ სისხლისღვრის შესახებ

## ამერიკა მექსიკასთან საომრად ემზადება

## საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ავსტრიის სავაჭრო და საფინანსო წრეების დელეგაცია

## იმპერიალისტები სისხლის ღვრას ამზადებენ ჩინეთში

### შანდუნელების ახალი დამარცხება

**შანხაი,** 27 მარ. ვუზუნის მახლობლად მომხდარი საზღვაო ბრძოლის შესახებ იუწყებიან: შანდუნელების ორმა გემმა ზარბაზნები დაუშინა ეროვნული ჯარების მიერ დაჭერილ ვუზუნის სიმაგრეებს, მაგრამ შანდუნელები გაიქცენ, როცა მათ ზარბაზნები დაუშინეს იმ სამხედრო გემებიდან, რომელნიც წინეთ შეუერთდენ ეროვნულ ჯარებს (ეგრედ წოდებული ფრანგული ესკადრა. (ადს).

### ომი ჩინეთის წინააღმდეგ

**პეკინი,** 28 მარტი. როგორც იტყობინებიან, ჩინეთში მყოფ უცხოეთის სამხედრო ძალების სარდლებს შორის მოხდა შეთანხმება; ისინი ფიქრობენ მდინარე იან-ცზისაკენ გაგზავნონ დიდი სამხედრო ძალები—ამით უცხოელთა ჯარების სარდლობა ფიქრობს გაამაგროს ყველა ის სტრატეგიული პუნქტები, რომლებიც მდებარეობენ მდ. იან-ცზის მიდამოებში, სანამ ეს ადგილები არ იქნება დაცლილი უცხოელ მცხოვრებთა მიერ. (ადს)

### მუკდენელების მდგომარეობა უნუგეშოა

**პეკინი,** 27 მარტი. იაპონიის სააგენტო „ნიპონ დემპო“ იუწყება, რომ ხენანის პროვინციაში მუკდენელების მდგომარეობა უნუგეშოა.

შეწყვეტილია კავშირი ლუნხაის რკინის-გზაზე. კაი-ფინი ჩინ-იუნ-აის ხენანის არმიის ხელშია. ამასთან ერთად გენერალ გუნ-სენის ჯარებმა ჩენ-ჩჟოუდან დასავლეთით, გამოაცხადეს დამოუკიდებლობა თავს დაესხენ მუკდენელებს და დაამარცხეს ისინი.

როგორც სჩანს, ახლო ხანში მუკდენელები იძულებული გახდებიან დასცალონ ჩენ-ჩჟოუ. (ადს).

### უარყოფენ ჭორებს

**ტოკიო,** 27 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა ცნობები, ნანკინში მცხოვრებ იაპონელთა დაღუპვის შესახებ, ყალბი აღმოჩნდა: ყველა იაპონელები ნანკინში ცოცხალი არიან, შემთხვევით დაიჭრა მხოლოდ ერთი იაპონელი. (ადს).

### ჯარების სარდლის განცხადება

**შანხაი,** 27 მარტი. შანხაიში მყოფ ნაციონალური ჯარების სარდალმა გენერალმა ბაი-ცზუნ-სიმ განაცხადა, რომ ის პასუხისმგებელია წესრიგის დაცვისათვის ქალაქის ჩინურ ტერიტორიაზე და რომ ის კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას გომინდანისა და პროფკავშირების ორგანიზაციათა მოქმედებაზე.

### ამერიკელთა ევაკუაცია

**ვაშინგტონი,** 27 მარტი. მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკელები სტოვებენ ხანკოუს და სხვა ქალაქებს, რომლებიც მდებარეობენ მდინარე იან-ცზიანზე. (ადს).

### ბრძოლა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფლოტების შორის

**შანხაი,** 27 მარტი. გუ-ზუნში მოვიდა შანდუნის ფლოტის პეიხოის ესკადრის რამოდენიმე გემი.

იუწყებიან, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფლოტებს შორის გაიმართა ბრძოლა, რომლის შედეგებიც ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის. (ადს).

### შანხაის პროფკავშირთა საბჭოს პროტესტი

**შანხაი,** 27 მარტი. იმასთან დაკავშირებით, რომ მწარმოებლებმა უარი განაცხადეს დაებრუნებინათ სამუშაოზე ზოგიერთი მუშები, რომელნიც ცნობილი არიან როგორც მუშათა მოძრაობის აქტიური მონაწილენი, შანხაის პროფკავშირთა საბჭომ საერთაშორისო უბნის მუნიციპალურ საბჭოს მდივანს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელი გაფიცვა მიმართული იყო არა უცხოელების, არამედ ჩინელ მილიტარისტების წინააღმდეგ.

მუნიციპალურმა საბჭომ—ნათქვამია წერილში—დააპატიმრა საფოსტო კანტორის რამოდენიმე თანამშრომელი და დაიწყო ბარიკადების შენება. თქვენ უკანონოთ დააპატიმრეთ რამოდენიმე მუშა და გარდა ამისა ბევრ მუშებს ნებას არ აძლევთ განაახლონ მუშაობა, რაც აღშფოთებას იწვევს ჩინეთის მუშებში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ გადაათვალიერებთ თქვენს გადაწყვეტილებას და პასუხს მოგვცემთ 27 მარტს. წინააღმდეგ შემთხვევაში განკარგულება შანხაის წარმოებებში მუშაობის განახლების შესახებ გაუქმებულ იქნება და შეიძლება კიდეც გაცემულ იქნეს ბრძანება ახალ საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რომლის პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ“. (ადს).

### იმპერიალისტებს გადაწყვეტილი აქვთ იმოქმედონ „შეთანხმებულათ“

**ვაშინგტონი,** 27 მარტი. „ასოშიეტედ პრეს“-ის სააგენტო იუწყება:

„უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა კონფერენცია პეკინში მოწმობს, რომ სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ იმოქმედონ შეთანხმებულათ.

ნანკინიდან ამერიკის სამხედრო—საზღვაო სარდლებისაგან მიღებული ცნობები აღნიშნავენ, რომ ამერიკელების ევაკუაცია მშვიდობიანათ მიმდინარეობს და აქამდის მათთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ქალაქიდან გადიან სამხედრო მცველების გარეშე. (ადს).

### ჩან-კაი-ში შანხაიში

**შანხაი,** 28 მარტი. ჩან-კაი-ში ჯერ კიდევ შანხაიში იმყოფება. ცნობების მიხედვით, იგი არ იწვია უცხოეთის ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს. ჩან-კაი-ში დასახლდა ჩინურ ტერიტორიაზე საფრანგეთის კონცესიის მახლობლად.

### ნაციონალისტები მუშებთან ერთად

**შანხაი,** 28 მარტი. მიტინგები და დემონსტრაციები ქალაქის ჩინურ ნაწილში 27 მარტს უინციდენტოთ დამთავრდა. არსენალის მუშათა მიტინგზე დაესწრო და სიტყვა წარმოსთქვა ეროვნული ჯარების უფროსმა შანხაიში ბაი-ცზუნ-სიმ (ადს).

### ახალ სისხლიან პროვოკაციას ამზადებენ

**შანხაი,** 27 მარტი. უცხოეთის ჯარები შანხაიში გაფაციცებით ემზადებიან უცხოეთის უბნის „დაცვისათვის“. უცხოელთა ჯარების რიცხვი უცხოელთა უბანში მოხალისეთა კორპუსისა და საფრანგეთის კონცესიაზე მყოფ ჯარების გარდა 15.000 კაცს აღემატება. უცხოელთა ჯარების შემადგენლობაში არიან: ინგლისელები 11.000, იაპონელები 1.630, ამერიკელები 1.484, იტალიელები 200, ჰოლანდიელები 120, ისპანიელები 100 და პორტუგალიელები 90. გარდა ამისა ჩამოვიდა ინგლისელთა ორი ახალი ბატალიონი. ჩამოვიდა აგრეთვე რამოდენიმე სამხედრო გემი, უმთავრესად იაპონელების. მთელი მოხალისეთა კორპუსი, რომელიც შესდგება 3.000 კაცისაგან, მზადაა საომრად. ხმების მიხედვით, საფრანგეთმა თხოვნით მიმართა ინგლისის შეიარაღებულ ძალების უფროსს გენერალ მაიორს დუნკანს, რომ იკისროს საფრანგეთის კონცესიის „დაცვა“, ვინაიდან ფრანგების ძალები საკმაო არაა. მიუხედავათ ამ მზადებისა, არავითარი ნიშანი არ არის ვიფიქროთ, რომ ჩინელთა მხრივ მზადება რაიმე გამოსვლა საფრანგეთის კონცესიის ან საერთაშორისო კვარტალის წინააღმდეგ. მაგრამ სამხედრო მზადება საერთაშორისო კვარტალში გრძელდება: ბარიკადებს და მავთულის ხლართებს აწყობენ ყველა ქუჩაზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ რაიონში. ყოველგვარი მოძრაობა ათი საათის შემდეგ აკრძალულია (ადს).

### ახალი ჯარების გაგზავნა ჩინეთში

**რომი,** 28 მარტი. „კორიერე დელა სერა“-ს ცნობით, ჩინეთში გაიგზავნა იტალიელთა ორი ტრანსპორტი საზღვაო ქვეითა რაზმის ათასი კაცის შემადგენლობით (ადს).

### კანტონის მაგალითის მიხედვით

**ხარბინი,** 28 მარტი. „მანჯურია დეილი ნიუს“-ს ცნობით, შეერთებული შტატების კონსულმა ხარბინში ჩინეთის ხელისუფალთაგან მიიღო ცნობა, რომ ამიერიდან ყველა სამოქალაქო საქმეები, რომელნიც აღძრული იქნება ამერიკელების მიერ ჩინელთა წინააღმდეგ, გადაეცემა ჩინეთის სამოქალაქო სასამართლოს. ძველი წესი, რომელიც არსებობდა უცხოელთა მიმართ და ანიჭებდა მათ ექსტერიტორიალობის უფლებას დასავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებულ რაიონში, გაუქმებულად არის გამოცხადებული (ადს).

### პროვოკაციის მიზნით.

**ვაშინგტონი,** 27 მარტი. მიღებული ცნობების მიხედვით, შეერთებული შტატების ელჩმა პეკინში მაკ-მორეიმ განაცხადა, რომ საჭიროა ნაციონალურ მთავრობის განკარგულებაში არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ამერიკელების ევაკუაცია. მაკ-მორეი ამ ღონისძიებას ასაბუთებს მით, რომ „ნაციონალისტებმა თითქოს არ გამოიჩინეს უცხოელების დაცვის უნარი და არც სურვილი“". (ადს).

### კიდევ 1500 ამერიკელი მეზღვაურები

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი. ჩინეთში კიდევ გაიგზავნა 1.500 მეზღვაური. იხილავენ ჩინეთში არმიის ნაწილების გაგზავნის საკითხს. (ადს).

### წითელი დროშა

**ნიუ-იორკი,** 27 მარტი. „ასოშიეტედ პრესის“ შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შანხაი-ნანკინის რკინის გზის სადგურზე აღმართულია წითელი დროშა.

რკინისგზაზე დასრულდა გაფიცვა. (ადს).

### ინგლისის კომპარტიის მოწოდება

**ლონდონი,** 27 მარტი. ინგლისის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ჩინეთში მომხდარ ხოცვა-ჟლეტისათვის.

მოწოდება მიმართავს მუშებს გააძლიერონ მუშაობა საზოგადოებისა „ხელები შორს ჩინეთისაგან“ და განუმარტონ ჯარისკაცებს სრული სიმართლე ჩინეთის ამბების შესახებ, რომ ამით აიძულონ ბოლდუინი გადადგეს. (ადს).

### ინგლის-ამერიკის „თანამშრომლობა“

**ლონდონი,** 27 მარტი. კონსერვატიული პრესა ერთსულოვნად ესალმება ინგლის-ამერიკის „თანამშრომლობას“, რომელიც გამოიხატა ნანკინისათვის ყუმბარების დაშენაში. (ადს).

### ნანკინში 7.000 დაჭრილ-დახოცილია

**შანხაი,** 27 მარტი. ნანკინიდან შანხაიში ჩამოვიდა 200 უცხოელი, უმთავრესად მისიონერები თავისი ოჯახებით.

შანხაიში მიღებული ცნობებით, ნანკინში დაჭრილ-დახოცილთა რიცხვი აღწევს 7.000 კაცს.

შანხაის ჩინური ნაწილი აღშფოთებულია. ქუჩებში განუწყვეტლივ იმართება მიტინგები და დემონსტრაციები. ყველგან ორატორები მოუწოდებენ შურისძიებისაკენ ნანკინის ჩინური მოსახლეობის დარბევისათვის. (ადს).

### შანდუნელი ჯარისკაცები გაგზავნილი არიან ცინდაოში

**შანხაი,** 27 მარტი. შანდუნელი ჯარისკაცები, რომლებიც ცდილობდენ საერთაშორისო უბანში დამალვას და რომლებიც „ტყვედ“ არიან აყვანილი, გაგზავნილი იქნენ ცინდაოში. (ადს).

### „შიშის გასაქარწყლებლად“

**ტოკიო,** 27 მარტი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ შანხაისა და ცინდაოში მცხოვრებ იაპონელთა შიშის გასაქარწყლებლად, იქ გაიგზავნა რამოდენიმე ნაღმოსანი. შანხაის იაპონელ ხელისუფალთ დაევალათ მოლაპარაკების წარმოება ჩან-კაი-შისთან იაპონელთა სიცოცხლისა და ქონების დაცვისა და ნანკინში იაპონელთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარშემო. (ადს).

### მუსოლინის იმედი აქვს

**რომი,** 27 მარტი. იტალიელი მეზღვაურების მიერ შანხაის საერთაშორისო უბნის დაცვაში და, აგრეთვე, ქალაქის ჩინურ ნაწილში დემონსტრანტების დახვრეტაში აქტიური მონაწილეობის მიღების გამო, მუსოლინიმ იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსს ჩინეთში გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს რწმენას, რომ „იტალიელი მეზღვაურები ყოველგვარ პირობებში შეასრულებენ თავის მოვალეობას“. (ადს).

### გაფიცვის შესაძლებლობა შანხაიში

**შანხაი,** 28 მარტი. შანხაის პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, ფოსტის უწყების მუშაკებმა 26 მარტს განაახლეს მუშაობა და პროფკავშ. საბჭოს მიანდვეს სადაო საკითხების მოგვარება, საერთაშორისო კვარტალის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით. მუშაობას დაუბრუნდენ აგრეთვე ტრამვაის და ავტობუსის მუშები. ტრამვაის და ავტობუსის მოძრაობა კვარტალის ტერიტორიაზე განახლდა. ჯერ გამორკვეული არ არის დათანხმდება თუ არა კვარტალის მუნიციპალიტეტი შეასრულოს პროფკავშირების საბჭოს მოთხოვნილებანი. ამის გამო შესაძლებელია ახალი საყოველთაო გაფიცვის დაწყება.

როგორც ცნობა იყო, შანხაის პროფკავშირთა საბჭომ მოითხოვა, რომ კვარტალის მუნიციპალიტეტს განთავისუფლებია მისი განკარგულებით დაპატიმრებული მუშები და გაუქმებია განკარგულება ზოგიერთ მუშების დათხოვნის შესახებ. პროფკავშირთა საბჭომ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის პასუხს დაელოდება 27 მარტის 16 საათამდე (ადს).

# პოლონეთის მთავრობას სურს

## საგარანტიო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან

### პატეკის მისია

**ვარშავა,** 27 მარტი. მოსკოვში გამგზავრების წინ პატეკი მიიღო პილსუდსკიმ.

„გოლოს პრავდი“-ს ცნობით საუბრის თემა იყო წინასწარი მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირთან.

პილსუდსკისთან თათბირის შემდეგ პატეკმა მიიღო მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე ვერჟბიცკი, რომელმაც განუცხადა მას, რომ პოლონეთის მრეწველობა ძლიერ დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის ბაზარით. სადგურზე პატეკმა გაზეთ „პშეგლონდ ვეჩორნი“-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ ის მოსკოვში მიდის იმ მიზნით, რომ განაგრძოს მოლაპარაკება საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. (ადს).

პატეკი
პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში

# ამხ. დოვგალევსკი იაპონიაში

**ტოკიო,** 27 მარტი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. დოვგალევსკი. სადგურზე დოვგალევსკის შეხვდენ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის საელჩო და პოლიტიკურ და საქმიან ორგანიზაციების გამოჩენილი წარმომადგენლები. მუკდენიდან ტოკიომდე დოვგალევსკის თან ახლდენ იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები. (ადს).

ამხ. დოვგალევსკი
საბჭ. კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში

# პირველი საბჭოთა თბომავალი

**დანციგი,** 27 მარტი. დანციგის ნავთსადგურში გენერალურ საკონსულოს, სავაჭრო წარმომადგენლობის, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის, საბჭოთა მეზღვაურების და ვერკების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანდასწრებით აღმართულ იქნა საბჭოთა კავშირის დროშა პირველ საბჭოთა თბომავალზე „კალინინ“-ზე. გენერალური კონსული, გემის კაპიტანი და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის წარმომადგენელი თავის სიტყვებში აღნიშნავდენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს სანაოსნო მშენებლობაში. „კალინინ“-ი წავიდა ჰამბურგისკენ. (ადს).

# ავსტრიის დელეგაცია

## საბჭოთა კავშირში

**ვენა,** 27 მარტი. მოსკოვში გაემგზავრა დელეგაცია, რომელშიაც შედის ავსტრიის სავაჭრო და ფინანსიურ წრეების 24 წარმომადგენელი. დელეგაცია გაეცნობა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეობას. (ადს).

# ახალი თვითნებობა

## აღმოსავლეთ-ჩინეთის რ. გ.

**ხარბინი,** 28 მარტი. აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებულ რაიონის სახალხო განათლების სამმართველომ ხარბინში დააპატიმრა ხარკინისგზო სკოლის გამგე, რომელმაც უარი სთქვა გზათა სამმართველოს დაუკითხავად ახლად დანიშნულ გამგისათვის ქონების ჩაბარებაზე. სკოლის 8 მასწავლებელმაც უარი სთქვა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სამმართველოს ნებადაურთველად დანიშნულ გამგის ცნობაზე. ეს მასწავლებლები ძალით დაითხოვეს, სკოლა დახურეს. (ადს).

# იტალიის „განიარაღება“

**რომი,** 27 მარტი. იტალიის პარლამენტისათვის წარდგენილი საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა შარშანდელ ხარჯთ-აღრიცხვას აღემატება 160 მილ. ლირით. ახალი ხარჯთ-აღრიცხვა ჰგულისხმობს 4 ნაღმოსანის, 12 კონტრ-ნაღმოსანის და 9 წყალქვეშა ნავის აგებას.

საზღვაო მინისტრის ამხანაგმა სირიანიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წვრილ სამხედრო-საზღვაო ერთეულებს, „რომლებიც იტალიას ესაჭიროება, როგორც ხმელთა-შუაზღვის სახელმწიფოს“. (ადს).

# ერთიანი ფრონტით

**პარიზი,** 27 მარტი. ჩრდილოეთ რაიონის უნიტარულმა პროფკავშირმა მოითხოვა, რათა ნახშირის მრეწველთა კომიტეტმა მიიწვიოს მისი წარმომადგენლები სამუშაო ხელფასის შესახებ გამართულ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. ამასთანავე ერთად პროფკავშირმა რეფორმისტებს მისცა წინადადება მოლაპარაკებაში მთლიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ. დულანსში უნიტარულ პროფკავშირების მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 18.000 მუშამ. (ადს).

# უკანასკნელი ცნობები

### მონბლანზე ასვლა

**ლონდონი,** 28 მარტი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ინგლისელი ვალტერ ვუდი და შვეიცარიელი პიერ ვიტომი ორი გამყოლის თანხლებით ავიდენ მონბლანის მწვერვალზე. მათ მიაღწიეს უმაღლეს წერტილს, რომელიც მდებარეობს 15.780 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ტურისტებმა მწვერვალზე ასვლას მოანდომეს 19 საათი. (ადს).

### საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება

**ლონდონი,** 28 მარტი. ოფიციალური ინგლისური რადიო იტყობინება, რომ შანხაიში მყოფ საფრანგეთის და ინგლისის სარდლობებს შორის მოხდა შეთანხმება, რომელშიაც გათვალისწინებულია საფრანგეთ-ინგლისის ჯარების თანამშრომლობა შანხაის თავდაცვის საქმეში. (ადს).

### ინგლისის ქვეშევრდომთა ევაკუაცია

**ლონდონი,** 28 მარტი. გაზეთების ცნობით პეკინში მყოფ ინგლისის ელჩმა ინგლისელ ქვეშევრდომთა ევაკუაცია ჩინეთის შიგნითა ნავთსადგურებიდან მიანდო ინგლისელ საკონსულოების თანამდებობის პირთ (ადს).

### ჯერი ინდოეთზეა

**ვაშინგტონი,** 28 მარტი. ინგლისის ელჩმა შეერთებულ შტატებში—გოვარდმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა საბჭოთა პროპაგანდის საშიშროება ჩინეთში და ინდოეთში. გოვარდის აზრით, ამ ქვეყნებში ადგილი აქვს მსოფლიო რევოლუციის პრელიუდიას.

ნანკინისათვის ყუმბარების დაშენის შესახებ გოვარდმა სთქვა: „ინგლისელები და ამერიკელები მოქმედობდენ შეთანხმებულად და ასეც უნდა იმოქმედონ მომავალში“ (ადს).

### შანხაი „ღრიალებს“

**შანხაი,** 28 მარტი. 27 მარტს შანხაის ჩინურ ნაწილში ჩატარდა გრანდიოზული დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 100.000 კაცმა. ერთ მიტინგზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 50.000 კაცი, მიღებულია რეზოლუცია ჩინეთისათვის ყველა კონცესიების და სეტლმენტების გადაცემის შესახებ. მიტინგმა დაადგინა მოამზადოს საყოველთაო გაფიცვა სეტლმენტების დაბრუნების ლოზუნგით (ადს).

### ახალი კავშირი

**შანხაი,** 28 მარტი. 27 მარტს, პროფსაბჭოს ინიციატივით დაარსდა მუნიციპალურ მუშების ახალი კავშირი (ადს).

### ახალი ძალები შანხაიში

**ლონდონი,** 28 მარტი. ინგლისის სანაპირო პოლკის პირველი ბატალიონი ჰონკონგიდან გაიგზავნა შანხაიში (ადს).

### ინგლისის კაბინეტის სხდომა

**ლონდონი,** 28 მარტი. დღეს შესდგა ინგლისის კაბინეტის სხდომა. ირჩევდა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა (ადს).

### უცხოელთა თავხედობის წინააღმდეგ

**ლონდონი,** 28 მარტი. კანტონის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩან-შაში მოსთხოვეს ინგლისის კონსულს კომპენსაციის მიცემა ჩინელ გლეხისათვის, რომელსაც ინგლისელმა ჯარისკაცებმა 4 კბილი ჩაუმტვრიეს. ხელისუფლების წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ აღნიშნული ჯარისკაცები გადაეცეს. ჩინეთის ხელისუფლებას სასტიკად დასასჯელად. ინგლისის წარმომადგენლობა ხანკოუში ტეიხმანმა ევგენი ჩენს სასტიკი პროტესტი განუცხადა კანტონის ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი საქციელის გამო ჩან-შაში (ადს).

### საერთაშორისო ჟანდარმის დახმარებით

**შანხაი,** 28 მარტი. გაზეთების ცნობით, საფრანგეთის კონსულმა განაცხადა, რომ საჭირო შემთხვევაში საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დახმარებისათვის მიმართავენ ინგლისელებს, რომლებთანაც დადებულია სათანადო შეთანხმება (ადს).

ჯევებამდე—სოციალიზმამდე. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს სრულიად საქართველოს საბჭოების მეოთხე ყრილობას! გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

### დასდო თუ არა ესტონეთმა საიდუმლო ხელშეკრულება პოლონეთთან.

**რეველი,** 27 მარტი. გაზეთი „ვაბა მაა“ ემყარება სარწმუნო წყაროებს და უარყოფს „ლეტუვის“-ის ცნობას, თითქოს ესტონეთს საიდუმლო პოლიტიკური ხელშეკრულება დაედოს პოლონეთთან. (ადს.).

### ნანკინის ჯალათების წინააღმდეგ

**მოსკოვი,** 28 მარტი. 28 მარტს მოსკოვში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაციები ინგლისელებისა და ამერიკელების მიერ ნანკინში რამოდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრებლების ამოჟლეტის წინააღმდეგ.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50.000 კაცმა. (ადს).

# აზერბეიჯანის მთავრობის ახალი შემადგენლობა

**ბაქო,** 28 მარტი. აზერბეიჯანის ახლად არჩეული ცაკის პირველმა სესიამ აირჩია ცაკის პრეზიდიუმი 19 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. ცაკის თავმჯდომარეთ არჩეულია აღამალი-ოღლი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეთ სულთან მეჯიდ ეფენდიევი. ცაკის მდივნათ—ალი მამედოვი (ყოფ. შინ. საქ. სახკომისარი).

სახკომსაბჭო არჩეულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მუსაბეკოვი—სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომ. საბჭოს თავმჯდომარეთ; უმ. ეკ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარეთ—გაჯი კასუმოვი (ს. მ. უ. ს. ყოფ. თავმჯდომარე); შინ. საქ. სახ. კომისრად—ნოვრუზ რზაევი (ბაქ. საქ. საბჭოს ყოფ. თავმჯდომარე): მიწ. მოქ. სახ. კომისრად—ბუნიატ-ზადე; შრომის სახ. კომისრად—გრიგორიანი (რკინისგზელი); შინავაჭრობის კომის. რწმუნებულათ და აზერბ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარეთ—ბაგიროვი; ჯანსახკომი—კადირლი; ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე—ახვერდიევი; გან. სახ. კომისარი—რუხულა ახუნდოვი; იუსტ. სახ. კომისარი—ველიბეკოვი; მუშ. და გლ. ინსპ.—ეფენდიევი; ფინსახკომი—ალიევი; სოც. უზ. სახ. კომისარი—მამედიაროვი; ც. სტ. სამმართ. მმართველი—სულთანოვი; მისი თანაშემწე—სმირნოვი; ბაქოს საბჭოს თავმჯდომარეთ—კონუშინი და ა. საბჭოს თავმჯდომარეთ—კონიუშკინი და ა.

# პარტიული ცხოვრება

## ფასების შემცირების შესახებ

### ამიერ - კავკასიის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

ფასების შემცირება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმმა უმთავრეს პოლიტიკურ-სამეურნეო ამოცანად სცნო. პლენუმის რეზოლუცია აღნიშნავს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არასაკმაო აქტიობას იჩენენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებაში და მუშურ-გლეხური ფართო მასები სუსტად არიან ჩაბმულნი საცალო ფასების შემცირების კონტროლის საქმეში.

სავაჭრო ორგანიზაციებმა არ გამოიჩინეს საკმაო ნებისყოფა და ენერგია ფასების ნამდვილად შემცირებისათვის. ისინი გამოეკიდენ ძალიან დიდ მოგებას და ხშირად აშკარა ან ფარულ წინააღმდეგობას უწევდენ პარტიის პოლიტიკის გატარებას ფასების შემცირების დარგში. მნიშვნელოვანი როლი ამ მხრივ ითამაშა შინავაჭრობის აპარატების სისუსტემაც.

ამ ჟამად პარტიამ კვლავ გასცა მტკიცე და კატეგორიული დირექტივა, რომ 1 ივნისისათვის მიღწეულ უნდა იქნას ფასების შემცირება არა ნაკლებ 10 პროცენტისა 1927 წლის იანვრის დონესთან შედარებით.

ამ დირექტივის შესრულება მოითხოვს პლენუმის რეზოლუციის მიერ დასახულ ყველა ღონისძიებათა მტკიცედ, თავის დროზე და სავსებით განხორციელებას.

ამისათვის აუცილებელია: პარტიული ზეგავლენის მოხდენა სახელმწიფო, კოოპერატიულ, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციებზე; შინავაჭრობის სახ. კომისარიატის ორგანოების განმტკიცება მუშაკთა თვისობრივი შემადგენლობის მხრივ; პარტიული უჯრედების და სამრეწველო, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომუშავე პარტიული ამხანაგების პასუხისმგებლობის გაძლიერება; ზემოხსენებულ მუშაკების ფასების შემცირებისათვის აქტიურ ბრძოლაში ჩაბმა პარტიული ორგანიზაციების მიერ, სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, სადუქნე და სარევიზიო კომისიების, ეკონომთათბირების საშუალებით, გადალახვა ყოველგვარ დაბრკოლებათა ამ მხრივ და დამნაშავეთა ნამდვილად პასუხისგებაში მიცემა.

ამ ამოცანათა განსახორციელებლად პარტიულმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად უნდა გაატარონ თავისი ხელმძღვანელობა ფასების შემცირების დარგში, დაახლოებით ამგვარად:

1) პერიოდულად უნდა იქნას მოწვეული საწარმოო, სახვაჭრობის, კოოპერატიული, პროფკავშირთა ორგანიზაციების პარტაქტივის და საზოგადოდ პარტიულ სამეურნეო მუშაკების კრება იმ მიზნით რომ განხორციელდეს ხელმძღვანელობა და ინსტრუქციების მიცემა ფასების შემცირების მუშაობის ჩატარების დარგში; აგრეთვე მოსმენილ უნდა იქნას მოხსენებანი ცალკე ორგანიზაციებში.

2) უჯრედთა კრებებზე პერიოდულად უნდა დაისვას დღის წესრიგში პრაქტიკული საკითხები ფასების შემცირების შესახებ და მოსმენილ უნდა იქნას სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებანი.

3) ვინაიდან პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ძირითადი პირობა არის მჭიდრო კავშირი მომხმარებელთა მასებთან, აუცილებლად უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი მონაწილეობა სავაჭრო ორგანიზაციებზე კონტროლში, რისთვისაც პარტორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მუშათა და გლეხთა ინსპექციას მომხმარებელთა და პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ფართო კრებების მოწყობაში. ამ კრებებზე საკონტროლო კომისიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი უნდა გამოვიდნენ და აცნობონ პარტიისა და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებანი ფასების შემცირების შესახებ, განუმარტონ მომხმარებელთ, თუ რომელ საქონელზე შემცირდა ფასები, როგორი რაოდენობით; ამასთანავე თვალყური ადევნონ, რომ ყველა გადაწყვეტილებანი ფასების შემცირების შესახებ გამოქვეყნდეს და მიაღწიოს მომხმარებლებამდე.

4) აუცილებელია ყოველგვარი საშუალებით იქნას აცილებული კონტროლის განხორციელება წერილობითი ანგარიშების, მოხსენებების მოთხოვნის გზით და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცოცხალ კონტროლს დაბალი საფეხურის ორგანიზაციების საშუალებით.

5) პარტიული ორგანიზაციების ყურადღება უმთავრესად უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: თვალყურის დევნება სათანადო ორგანოების მიერ დაწესებულ ფასებზე, ამ ფასების შემოწმება, გამოქვეყნებული ფასების სისწორის შემოწმება, სისწორით დაყენება მუშაობისა მომხმარებელთა საჩივრების გამოაშკარავებებისათვის, კოოპერატივების და სახვაჭრობის მოგებასთან დაკავშირებული საკითხები, საქონლის გაცემის ტეხნიკის დაყენებასთან დაკავშირებული საკითხები, საქონლის გამტარებელი ქსელის გამარტივებასთან დაკავშირებული საკითხები, საქონლის დანაკლისი, მტაცებლობა და მასთან ბრძოლის ზომები, საქონლის თვისებასთან, მის ასორტიმენტთან დაკავშირებული საკითხები, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესება, სადუქნე და სარევიზიო კომისიების წევრთა ანგარიშის მოსმენა, მუშაობისათვის მუდმივი ინფორმაციის მიწოდება ფასებისა და მათი შემცირების შესახებ, კედლის გაზეთების, კლუბების, კრებების და სპეციალურად გამოკრული დაფების (რომლებზედაც აღნიშნული იქნება ცნობები შემცირებული ფასების შესახებ) ამ მიზნით გამოყენება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ მუშაობაში უნდა ჩააბან კომკავშირთა ორგანიზაციები და აგრეთვე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებანი და მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ქალთა ფართო მასები ყველაზე უფრო მახლობელ და უშუალო დამოკიდებულებაში არიან ბაზართან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სოფელს, რომ გლეხთა ძირითადმა მასამ მონაწილეობა მიიღოს სოფლის კოოპერატივების მიერ ფასების შემცირებაზე ხელმძღვანელობაში და მათ მუშაობაზე კონტროლში, როგორც პარტუჯრედების, კომკავშირის, ისე საბჭოთა, კოოპერატიულ აქტივის, გლეხკომების, ღარიბ გლეხთა ჯგუფების მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის და სოფლის სხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე იმას, რომ პრესამ მეტი ყურადღება მიაქციოს ფასების შემცირების საკითხების გაშუქებას და მუშაობის შესახებ სწორი და სრული ცნობების მიწოდებას—როგორც დადებითი მიღწევების, ისე უარყოფითი მომენტების აღნიშვნით.

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშკორებს და გლეხკორებს, რომელთა როლი ამ მხრივ მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.

პარტიის მიერ მტკიცედ აღებული კურსი ფასების შემცირებაზე უნდა შეითვისონ ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, და ნამდვილად გაატარონ ცხოვრებაში პარტიის ყველა აღნიშნული დირექტივები. თებერვლის პლენუმის დირექტივა პარტორგანიზაციებმა ადგილობრივ სავსებით და მთლიანად უნდა განახორციელონ ბოლშევიკური სიმტკიცით.

ამ დირექტივების განხორციელება ნიშნავს: „პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირის გაუმჯობესებას, სასოფლო მეურნეობის ზრდის უზრუნველყოფას, მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის გადიდებას და დაგროვების შესაძლებლობას ჩვენი სოციალისტური სამრეწველო აღმშენებლობისათვის.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ხაზარეტიანი.**

# მუშათა ცხოვრება

### მიიღეთ ზომები

ხშირად გვიგონებთ მუშკორისაგან საყვედურს: ვსწერთ, ვსწერთ, მივუთითებთ ამა თუ იმ ნაკლულოვანებებზე, მაგრამ კაცი ყურადღებას არ გვაქცევს, არავინ თავს არ იტკივებს, საქმე კი ხდება.

ვერ ვიტყვით, რომ მუშკორის შენიშვნებს ყურადღებას არ აქცევდენ, მის მითითებებს შესაძლებლობის ფარგლებში ცხოვრებაში არ ატარებდენ. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც მუშკორი ბოროტებით მიაჩნდათ და ამ ბოროტების რაც შეიძლება დაჩქარებით თავიდან მოცილებას სცდილობენ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღესაც ცდილობენ ზოგიერთები ყური აარიდონ მუშკორის ძახილს ამა თუ იმ ნაკლულოვანებების შესახებ. მოვიყვანოთ მაგალითი. ჩვენს გაზეთში ხშირად სწერენ ამხანაგი მუშკორები, რომ სამარშრუტო მატარებლებზე კერძო მგზავრები დიდ უწესობას სჩადიან. შეახტებიან მატარებელზე მგზავრები და შემდეგ, როცა და სადაც მოესურვებათ მოამუხრუჭებენ და გააჩერებენ მატარებელს. ამ მდგომარეობამ ამ ბოლო დროს ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, თითქოს ეს ასეც უნდა იყვეს. ეს აფერხებს მატარებლების მსვლელობას, და რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია ხშირად იწვევს სამარშრუტო მატარებლის გაწყვეტას, უბედურ შემთხვევას და აუარება ზარალს. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. სამარშრუტო მატარებელზე კერძო მგზავრების ტარება უნდა აიკრძალოს. ამხ. შავსოფლელი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში სწერს, რომ სამარშრუტო მატარებელმა № 334 გასრისა ერთი უცნობი მგზავრი, რომელიც გაქანებულ მატარებლიდან ჩამოხტა; ამავე დღეს სად. სკრასა და ქარელს შორის მგზავრებმა გააჩერეს მატარებელი და ჩამოხტენ. ასეთი შემთხვევები ხშირია. მგზავრებიც მარცხდებიან და რკინის გზაც ზარალობს. ბოლოს მიაქცევს თუ არა ჩვენი მუშკორის ძახილს ყურადღებას ვისაც ეს ეხება.

ი.

### ნედლი მასალის სიმცირე

საპნის სახარშავ ქარხანაში მუშაობა მოიკოჭლებს, რაც გამოწვეულია ქონის სიმცირით და რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საპნის მოსახარშავათ

გასულ წელს ქარხანას არ მიუღია 7.000 ფუთი ნედლი მასალა, რომელსაც ეხლა ღებულობს.

ქარხნის ადმინისტრაციას დადებული აქვს ხელშეკრულება 25.000 ფუთი ნედლი მასალის მისაღებად. ეს ხელშეკრულება დადებულია რუსეთთან. ამ 25 ათასი ფუთი მასალიდან რუსეთის წარმოებამ მოგვცა 15 ათასი ფუთი, ასე რომ ჩვენ გვრჩება მხოლოდ 10 ათასი ფუთი. ამისათვის ქარხნის ადმინისტრაცია მიწერ-მოწერას აწარმოებს რათა დაგვითმოს მეტი ნედლი მასალა.

გასული წლის ოქტომბერში, დეკემბერში და ნოემბერში მასალის სიმცირის გამო საპნის სახარშავი ქარხნის მუშაობა 20 პროცენტით შემცირდა.

რადგანაც ქარხნის წარმოება დამყარებულია ნედლ მასალაზე, აუცილებლად ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს წინასწარი ზომები მასალის შესაძენათ.

ვ. სალუქვაძე.

### მეთუთუნეებში

23 მარტს თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს მუშებში შესდგა სახელდახელო კრება. სადაც მომხსენებელი ტრესტის დირექტორიც დაესწრო. მან მოკლედ გააცნო მუშებს ჩინეთში ნაციონალურ რევოლიუციის მიმდინარეობა და მასთან ქალაქ შანხაის აღება.

სიტყვის დასასრულს მთელი მუშათა შემადგენლობა საერთო აღტაცებით მიეგებენ მომხსენებელს.

შემდეგ კრებამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

ალექ. ბაჯიაშვილი.

### ჩარჩები გლეხებს ატყუებენ

მეშვიდე სამ. უბანში არის სადგომი ბაკები, სადაც იყრის თავს სოფლიდან ჩამოსული გლეხობა, რომელთაც მოაქვთ თავიანთი ნაწარმოები ქალაქში გასაყიდად. ამით სარგებლობენ ჩარჩები და როცა გლეხი ჩამოიტანს რამეს, მაშინვე გადაუდგებიან წინ, გასაქან გზას არ აძლევენ მათ და ნახევარ ფასებში ართმევენ ჭირნახულს. გარდა ამისა გლეხმა წინადაც არ იცოდა წონა. ეხლა კილოგრამებზე გადასვლამ სულ აურია გონება. ამგვარად, ჩარჩები ჩამოსულ გლეხებს ფასშიც ატყუებენ და წონაშიც. ეს კიდევ არაფერი, რამეს ყიდვა რომ უნდა მაშინაც ასე ხდება: ყოველთვის ნაკლებს აძლევენ.

ასეთ უსიამოვნებას და ზარალს ხშირად აქვს ადგილი რომ ეს მოვსპოთ საჭიროა აღმასკომმა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება და სასტიკად აკრძალოს ჩარჩებს ამგვარად გლეხების ძარცვა.

მეთვალყურე.

### ნამდვილი ამბავი

დილის ათი საათია, თავისუფლების მოედანზე ხალხის მოძრაობა. ყოფილი ქარვასლის ეზოში თავი მოუყრია სპეკულიანტებს და დალალებს. ერთ კუთხეში სდგას დალალი და ელაპარაკება ორ ქალს.

— ჩემო დაო, განა ამდენი დრო მაქვს, ახლანდელ დროში ოთახი იშოვნო და ფულზე ლაპარაკობ!

— ძალიანი ძვირია, სამასი მანეთი ოთახის დასაცლელი 25 მანეთი, ქირა ერთი წლის წინდაწინ უნდა მივცე და 70 მანეთიც შენ უნდა მოგცე ნადალალევი, რა გავყიდო რომ ამდენი ფულები მოვაგროვო!

— სულ მუქთად გაძლევ თუ დამიჯერებ ჩემო დაო, მერე რა ალაგზეა, იუნკრის ქუჩაზე, მეორე სართულზე, ცენტრია, ცენტრი.

— ცოტა დაუკელი, 200 მანეთს მივცემ ოთახის დასაცლელად, 20 მანეთს ქირას და ხუთ თუმანსაც შენ მოგცემ.

— ლაპარაკი ზედმეტია, კაპეიკი არ დააკლდება, თუ არა გსურთ სხვას მივსცემთ.

ქალები შედგენ, ერთი მეორეს ეკითხებიან: რა ვქნათ მიეცეთ ძვირია, არა და ქუჩაში ვყრივართ, თაიცა იქნებ მოგვიკლოს, მაგრამ დალალი არ ისედებოდა უკან.

— მოდი ძმაო, რა ვქნათ, ჩვენი სული შენს ხელშია, წაგვიყვანე გვაჩვენე ოთახი და მიიღე ფულები.

— ცარიელი სიტყვით არაფერი იქნება, ჯერ ჩამოდი ხუთი თუმანი სიფთა და ოთახს გიჩვენებ. მისცეს ხუთი თუმანი და გაჰყვენ.

მერე აღარაფერი ვიცი რა ქნეს, მაგრამ უსათუოდ ტყავს გააძრობდა იმათ დახელოვნებული დალალი.

მეორე კუთხეში კი გაცხარებული ვალიუტების ვაჭრობაა.

— რა ღირს ოქროს თუმნიანი?

— 17 მანეთი.

— ოო, ძალიანი ძვირია.

მესამე კუთხეში კონტრაბანდას ჰყიდიან.

— რა ღირს ინდიგო?

— 90 მანეთი საკასტუმე.

ეხლა კი გავიგე, თუ რითი ცხოვრობს რუსთაველის პროსპექტზე მოხეტიალე უსაქმო ყოფილი ხალხი. ჯავრი მომივიდა, რატომ ასე თავაშვებულად არიან ეს სპეკულიანტები და ძირს უთხრიან სახელმწიფო ბიუჯეტს.

ვ. ხ—ძე.

### მუშათა ქრონიკა

— **პლენუმის გადაწყვეტილება.** 27 მარტს შესდგა სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ადგილკომის პლენუმი. პლენუმმა ადგილკომის თავმჯდომარედ გამოჰყო ამხ. ერასტი მუქერია, ხოლო პ. მ. მდივნად ამხ. ლადო მაისურაძე.

— **კედლის გაზეთი.** სად. სამტრედიის მუშკორთა კრებამ დაადგინა ორკვირაში ერთხელ გამოუშვას კედლის გაზეთი „საყვირის" სახელწოდებით.

— **მანქანის შეკეთება.** სად. გორის შპალ-საჟღენთი ქარხნის საწარმოო თათბირმა სთხოვა ადმინისტრაციას, რათა მან საჩქაროდ შეაკეთოს მანქანა „ატლასი".

— **საერთო კრება.** 30 მარტს შესდგება სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის ტეხნიკურ თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) საანგარიშო წიგნაკების დარიგების შესახებ, 2) ადგილკომის დელეგატების არჩევა, 3) სასურსათო ბილეთების შესახებ, 4) მიმდინარე საკითხები.

— **კლუბი.** სადგ. გარდაბანის ადგილკომის პლენუმმა სთხოვა უბკავშირს დახმარება ახალი კლუბის ასაშენებლად.

— **„სამხედრო ბანაკში".** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის ქართული დრამწრე, ამზადებს პიესა „სამხედრო ბანაკში".

— **თანხის გაღება.** რკ. გზ. გამგეობამ დაადგინა გაიღოს 4.000 მან. სად. თბილისის საწარმოო თათბირის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

— **ბაღის შეკეთება.** ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობა შეუდგა საზაფხულოთ ბაღის შეკეთებას.

— **კედლის გაზეთი.** თბილისის საავადმყოფოს კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთ „მზვერავი"-ს მე-26-ე ნომერი.

— **ფასების გადიდება.** პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობამ დრამის, ოპერის და მუშათა თეატრის წარმოდგენებზე 100 პროც. გაადიდა ფასი.

— **რკ. გზ. მუშათა კლუბები.** პროლეტ. სტუდენტთა კვირეულის ჩასატარებლად სდგამენ თითო წარმოდგენას.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### სასკოლო აღწერა

**ქუთაისი,** 28 მარტი. სასკოლო აღწერის შედეგები ქუთაისსა და ქუთაისის მაზრაში ასეთია: მაზრაში არის 226 სკოლა, მათ შორის ოთხწლედი—150, შვიდწლედი—48, ცხრაწლედი—10, აგრონომიული ტეხნიკუმი—2, მუსიკალური—2, ინდუსტრიალური—1, ახალგაზრდა გლეხთა სკოლა—5, სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმი—3 და საცდელ-საჩვენებელი სკოლა—1; მასწავლებელთა რიცხვი უდრის 1367. მოსწავლეთა—38.613. გარდა ამისა, ქალაქში და მაზრაში არსებობს ბავშვთა ბაღი—10, ბავშვთა სახლი—1, განათლების სახლი—1, კლუბი—3, პროფესიონალური სკოლა—3, პოლიტსკოლა—3, ბიბლიოთეკა—8, ქოხ-სამკითხველო—48 და წერა-კითხვის უცოდინ. ლიკვიდ. სკოლა—103. (ადს).

### სამხრეთ-ოსეთის გზა

**ქუთაისი,** 28 მარტი. ცუდი ამინდების გამო გაფუჭდა ჰრებალო-ონის გზა. რაჭის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა გზატკეცილების სამმართველოს, რომ სასწრაფოდ იქნას შეკეთებული ეს გზა. აღმასკომი სამმართველოს ჰპირდება უფასო სამუშაო ძალის მიწოდებას. (ადს).

### სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

**ახალქალაქი,** 28 მარტი. შესდგა სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა გაფართოებული თათბირი. მიღებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა სათემო საბჭოებისა და მისი სექციების მუშაობის გასაცხოველებლად. გადაწყდა, რომ სათემო საბჭოების მოწვევას მიეცეს სისტემატიური, გეგმიანი ხასიათი, დაისვას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები გაძლიერდეს ხელმძღვანელობა სექციებზე და სხ. თათბირმა საგზაო აღმშენებლობის დარგში დაამტკიცა 1927 წლის აღმშენებლობის გეგმა. სამუშაოთა შორის შეტანილია გზატკეცილის აღდგენა ახალქალაქიდან სომხეთის საზღვრებამდე. საგზაო მუშაობა დაიწყება გაზაფხულზე. (ადს).

### აფხაზეთი

#### მკვლელობა იჭვიანობის ნიადაგზე

**სოხუმი,** 28 მარტი. სახელმწიფო თეატრის დარბაზში დაიწყო ყოფილი გამომძიებლის კიხილ ხანჯარიას საქმის გარჩევა, რომელსაც უნდოდა ცაბაძის მოკვლა იჭვიანობის ნიადაგზე. თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით. (ადს).

## წერილები

### მათხოჯის სახლი.

(ქუთაისის მაზრა).

დღეს შესრულდა ორი წელიწადი, რაც მათხოჯის სახალხო სახლი დააზიანა ცეცხლმა. ეს სამწუხარო მოვლენა გამოარკვია მუშათა და გლეხთა ინსპექციამ. ქუთაისის აღმასკომის მიერ შედგენილი და საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვით, ზარალი გამოიხატა 69.480 მან. 65 კაპ.; პირველი დახმარება მათხოჯს ამხ. სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით გაუწია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა, რომელმაც გაიღო 3.000 მანეთი და გვთხოვა გადაგვეცა გლეხებისათვის, რომ მათი სახლი აღდგენილ იქნება. გლეხებმა დაადგინეს გაორკეცებულ ენერგიით განაგრძონ უფასო მუშაობა სახლის აღსადგენათ.

საკავშირო ცაკის თბილისში შემდგარ სესიის დროს ამხ. კალინინმა ამხ. ფ. მახარაძის, ვ. სტურუას, ს. თოდრიას და სხვებთან ერთად ინახულა მათხოჯი. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ საკავშირო ცაკის თანხებიდან ამხ. კალინინმა გამოგზავნა 10.000 მან., სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შუამდგომლობით, ამიერ-კავკასიის ცაკმა გადასწყვიტა 5.000 მანეთის გაღება მათხოჯის სახალხო სახლის აღსადგენათ, ამიერ-კავკასიის კომკავშირთა საოლქო კომიტეტმა გაიღო 500 მანეთი, ამხ. ე. ქ. დამენიამ სოხუმიდან გამოგზავნა 500 მან., ბათომის მუშებმა—300 მან., ნახახულევის თემაღმასკომმა—560 მან., მათხოჯელებმა, გარდა უფასო მუშაობისა, თავიანთ ღარიბ ჯიბიდან გაიღეს 5.000 მანეთი. თბილისის მათხოჯელებში მოხერხდა 1.000 მანეთის შეკრება. მათხოჯში დადგმულ საღამომ მოგვცა 700 მანეთზე მეტი. „პირველი წიგნის" ავტორებმა ვ. ძიძიგურმა და ა. გვახარიამ თავიანთ ჰონორარიდან მათხოჯს შესწირეს 1.400 მანეთი.

იმ იმედით, რომ საქართველოს მთავრობა ნებას მოგვცემს უბაჟოთ მოვჭრათ სვანეთში ხე-ტყე,—ხე-ტყის მრეწველებს გელაშვილს, ჩიქოვანს, ჯაყელს, ხაინდრავას და მიქაუტაძეს სესხის სახით გამოვართვით 25.000 კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა. ამ საშუალებებით შეკეთდა ყველა სამი კორპუსის კედლები დაზიანებულ ორსართულიან შენობისა. მთელი შენობა გადაიხურა თუნუქით. დამზადებულია ხე-ტყის მასალა ყველა 36 ოთახისათვის. შეძენილია ნაწილი კარ-ფანჯრების მოწყობილობისა; ჭერი, იატაკი, კარები და ფანჯრები გაკეთებული აქვს შენობის ორ კორპუსს (დარჩენილია 1 კორპუსი). ნაყიდია მთელი შენობისათვის მინები, რომლიდანაც 70.000 კვ. ვერშოკი უკვე ჩასმულია, ჩასასმელია 50.000 კვ. ვერშოკი. ჯერ კიდევ მთლად დაუმთავრებელ შენობაში მოთავსდენ: სასწავლებელი, ფოსტა-ტელეგრაფი; რიგში დგანან: კოოპერატივი, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

სახლი შენდება ინჟ.-არქიტ. პრეისის გეგმითა და ხელმძღვანელობით, რომელიც თითქმის უფასოდ გვეხმარება ამ დიდ საქმეში.

ვ. ძ—რი.

### მოუწყობელი სკოლა.

(ბაკურციხე, კახეთი).

დღიდან აქ სას.-სამ. ტეხნიკუმის დაარსებისა, მოწაფეებს მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ, რაც მდგომარეობს შემდეგში: მოწაფეებს არა აქვთ სამეცადინო ოთახი, არა აქვთ აგრეთვე სკამები, მაგიდა, რომ იმეცადინონ, რაც სწავლას აფერხებს. ამას კიდევ გაუძლებენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთ პატარა ოთახში მეტად ბევრი მოწაფეები არიან, რაც ჰიგიენური თვალსაზრისით არ არის დასაშვები. ამის მიზეზით მოწაფე ხშირად ავად ხდება; რომ დაავადმყოფებულმა მოწაფემ თავი მოირჩინოს, მას არა აქვს წამალი.. თავის ავადმყოფობას მოწაფე ვერც თვითონ უგდებს ყურს, რაიც იწვევს მოწაფის სამუდამოთ დასნეულებას.

არც ჭამა-სმა აქვთ მოწაფეებს ხეირიანი. ისეთ პურს ურიგებენ მათ, რომ ცხონებულ მენშევიკების დროს არ სჭამდენ ასეთ პურს. ისეთი სადილი იშვიათია, რომ შიგ რაიმე უსუფთაობა არ იყოს. უმთავრესად კი სწავლას ხელს უშლის წყაროდან წყლის მოტანა. საქმე შემდეგშია: გაკვეთილები მოწაფეებს უთავდებათ სამ საათზე. შემდეგ მოწაფე მიდის წყლის მოსატანათ და ამიტომ მოწაფეს არ რჩება სამეცადინო დრო.

ყოველივე ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

გულშემატკივარი.

## სად და როგორ ცხოვრობს სტუდენტობა

განათლების კომისარიატის გამოკვლევით ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხება 9.250 სტუდენტი; აქედან 6.790 სტ. სახ. უნივერსიტეტში, 1962 სტ. პოლიტექ. ინსტიტუტში და დანარჩენი კი სახელმწიფო კონსერვატორიასა და სამხატვრო აკადემიაში. განვიხილოთ მათი სოციალური წარმოშობა.

გლეხის შვილი 37 პროც., მუშის შვილი 18 პროც., მოსამსახურის შვილი 258 პროც. დანარჩენი კი სხვა სოციალურ წარმოშობის ჯგუფებს ეკუთვნის.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენი სტუდენტობის ერთ მესამედზე მეტი გლეხის შვილებია და ქონებრივათაც უსათუოდ ხელმოკლე, ქონებრივ მდგომარეობას უფრო ნათლად გვისახავს შემდეგი ციფრები.

სულ ჩვენ სტუდენტობაში უმუშევარია 2.898 სტ., მსახურობს 2846. უკვე აქედან სჩანს, რომ 9250 სტუდენტიდან 5244 ქონებრივათ უზრუნველყოფილი არ არის იმდენად, რომ აწარმოოს მუყაითი და ბეჯითი აკადემიური მუშაობა. სტუდენტობის ეს 56,6 პროც., ვინ უწყის, როდის უსმენს ლექციებს?

ბინების მხრივ მდგომარეობა უფრო უნუგეშოა. ოთახის ერთ მეხ., ერთ მეექვს. ნაწილი რომ უჭირავს ასეთი სტუდენტობის რიცხვი 4 პროც., ოთახის ერთი მეს. და ერთი მეოთხ. ნაწილი—29,2 პროც. ოთახის ნახ. ნაწილში ცხოვრობს 25,3 პროც., 1 ოთახში ცხოვრობს 35 პროც. უწყების ბინებზე 1 პროც. სრულიად უბინაოა 5 პროც., დანარჩენი კი გამორკვეული არ არის.

ეს ციფრები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ ჩვენი სტუდენტობის არა ნორმალურ პირობებში მუშაობას. სტუდენტობის ერთი მესამედი სრულიად მიუღებელ პირობებში სცხოვრობს.

დღევანდელი კვირეული დასაწყისია (თუ არ ჩავთვლით 1924 წ. ხელისუფლების მიერ სტუდენტობისათვის საერთო საცხოვრებელ სახლს, სასადილოს მოწყობას და აგრეთვე სტიპენდიანტების რიცხვის გადიდებას) იმ დიდი საქმის, რომელმაც სტუდენტობის ულარიბეს ნაწილს დიდი დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ეს კვირეული ვერ მიიღებს ფართო ხასიათს, თუ ხელისუფლების და პროფკავშირების დახმარებასთან ერთად მას არ გამოეხმაურა ჩვენი საზოგადოება.

ხ. ფ—ვა.

### მიბაძეთ ჩვენს მაგალითს

გუშინ, „პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირის" პირველ დღეს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომელთა ჯგუფის ინიციატივით შედგენილ იქნა ხელის მოწერის ფურცელი პროლეტსტუდენტთა სასარგებლოდ. ფურცელი შევსებულ იქნა დიდის გაცხოველებით.

სულ შეგროვილ იქნა 50 მან.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომელნი მოუწოდებენ მიბაძონ მათ მაგალითს საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიის და ამიერ-კავკასიის ცენტრ. სტატ. სამმართველოს თანამშრომლებმა.

რ—ძე.

## ჯილდოების გადაცემა

### წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და მედსანშრომის მუშაკთა ცენტრალურმა გამგეობამ ჯანსახკომის ყველა ძირითად განყოფილებებს, ავტონომიურ ერთეულებს, ჯანმრთელობის განყოფილებებს და ჯანინსპექტორებს დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობის შესახებ.

ადგილებს წინადადება ეძლევათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ საწარმოო თათბირების მუშაობაში. დაწესებულებათა უფროსები ვალდებული არიან გამოვიდნენ მოხსენებებით საწარმოო თათბირებზე და თათბირების წინასხდომებზე შემოტანილ წინადადებათა განხორციელების შესახებ, ან თუ რომელიმე წინადადება ვერ განახორციელეს—მოახსენონ თათბირს, თუ რა იყო ამის მიზეზი.

დაწესებულებათა ყველა ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც შეიტანენ საქმიან წინადადებებს, ან ახალ ტეხნიკურ გაუმჯობესებას წარმოებაში—დაჯილდოებულ უნდა იქნან მატერიალურად, გაუმჯობესების შედეგის მიღებისთანავე. ჯილდოები გაცემულ იქნეს გაუმჯობესების წყალობით მიღებულ საშუალებათა ფონდიდან.

## ეკონომიურ საბჭოში

### სავალდებულო დაზღვევის პრემიის გადახდის შესახებ

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს სრ. საქართველოს კანტორის მოხსენების თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო აღიძრას სათანადო შუამდგომლობა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პრემიის ნებაყოფლობითი (საურავის დაურიცხავად) გადახდის ვადის ქ. გორისა (შენობების დაზღვევა) და თიანეთის რაიონის თემებისათვის (საქონელი და სას.-სამ. კულტურის დაზღვევა) 1927 წ. აპრილის 1-მდე, ხოლო ფშავეთის თემებისათვის (დუშეთის მაზრა) ამავე წლის მაისის 1-დე გაგრძელების შესახებ.

### თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილებების გახსნა

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობას გახსნას საგენტო ახალქალაქში. ამასთანავე დაევალა საგეგმო კომისიას საკითხი ახალციხეში ხსენებული ბანკის განყოფილებისა და ოზურგეთისა და ზუგდიდის საგენტოების გახსნის შესახებ დაუკავშიროს არსებულ საკრედიტო ქსელის გადასინჯვის საკითხს.

## პურის მარაგი

### ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატის ცნობებით, თებერვლის გეგმის მიხედვით შემოზიდულ პურის მარაგი ასეთია: ამიერ-კავკასიაში შემოზიდულია 1.302.000 ფუთი პური, გეგმასთან შედარებით 106,7 პროცენტი. აქედან საქართველოში შემოზიდულია 565.000 ფუთი, ე. ი. 143 პროცენტი, ხოლო სომხეთსა და აზერბეიჯანში პურის შემოზიდვის გეგმა ვერ იქნა შესრულებული მთლიანად. ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატის ცნობებით, პურის შემოზიდვა იმდენად გაიზარდა, რომ მოთხოვნილება სავსებით იფარება, ხოლო თბილისში ამჟამად პურის თითქმის ორი თვის მარაგია.

## გამასწორებელი სახლების

### განტვირთვა

ამა წლის 5 იანვარს, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გამასწორებელი სახლების განტვირთვის მიზნით გამოიტანა დადგენილება სოციალურად არა მავნე ელემენტების ვადამდე ადრე განთავისუფლების შესახებ პატიმრობისაგან.

ეს დადგენილება არ გავრცელდება იმ პატიმრებზე, რომლებსაც უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით, აგრეთვე იმათ, ვინც დაპატიმრებულია კონტრრევოლიუციონური მოქმედებისა და ჯაშუშობისათვის, ყაჩაღობისა და ბანდიტიზმისათვის, მკვლელობისათვის (ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 146—7 მუხლში), გაფლანგვისათვის (ბოროტმოქმედება გათვალისწინებული ს. ს. კოდ. 116 მუხ. 2—ნაწ.)

ეს დადგენილება არ იქნა გავრცელებული აგრეთვე ხულიგან-რეციდივისტებზე, ქურდებზე, პროფესიონალურ ბოროტმოქმედებზე და კონტრაბანდისტებზე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსდა ცენტრალური განმანაწილებელი კომისია საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსის ამხ. ბუჯიაშვილის თავმჯდომარეობით.

სპეციალურმა კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და გამასწორებელი სახლები განტვირთა ისეთი პატიმრებისაგან, რომელთა თავისუფლება საშიშროებას არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის.

დასავლეთ საქართველოში კომისიამ ზესტაფონის გამასწორებელ სახლიდან განთავისუფლა 36 პატიმარი, ოზურგეთის გამსახლიდან 20 პატიმარი, სენაკის—10, ზუგდიდის—13, ხონის—6, ფოთის—5, ქუთაისის—162 და ცაგერის—20. სულ—272 კაცი.

აღმოსავლეთ საქართველოში კომისიამ გორის გამასწორებელ სახლიდან გაანთავისუფლა 82 პატიმარი, დუშეთის—6, თელავის—17, ახალქალაქის—16, ახალციხის—14, სიღნაღის—82 და ბორჩალოს მაზრაში 4 პატიმარი. სულ—221 კაცი.

თბილისის გამასწორებელ სახლებიდან გაანთავისუფლეს 400 პატიმარი.

საერთოდ გამასწორებელ სახლებში მოთავსებულ პატიმრებისაგან განთავისუფლებული იქნა 30 პროც.

განთავისუფლებულ პირებმა მიიღეს სამგზავრო ფული და ზოგიერთები გაემგზავრენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე.

## რკინისგზეზე

### 10.500.000 მან. სარკინისგზო მშენებლობისათვის

გზათა-მიმოსვლის კომისარიატის მოთხოვნილებით მომავალ წელს ნავთის პროდუქტების ექსპორტი გადიდებულ უნდა იქნას 450 ცისტერნამდე დღე-ღამეში.

ა.-კ. რკ. გზები კი ასეთი რაოდენობის ტვირთის გადაზიდვისათვის მომზადებული არ არის, რადგან გარდა ნავთის პროდუქტებისა იზრდება დანარჩენ ტვირთების გადაზიდვაც.

ამის გამო ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ შეიმუშავა და წარუდგინა ცენტრს მუშაობის დაწვრილებითი გეგმა, რომელშიც აღნიშნულია ორთქლმავლების და ცისტერნების საჭირო რაოდენობა. განზრახულია 239 კილომეტრის მანძილზე მე-2-ე ხაზის დაგება და 25 ახალი სადგურის გახსნა

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებისათვის საჭიროა 10.500.000 მანეთი.

ამ მიზნების განხორციელებისათვის ცენტრის მიერ უკვე გადადებულია 200.000 მანეთი და დაწყებითი მუშაობა უკვე სწარმოებს.

## გრიგალი თბილისში

გუშინ თბილისში ძლიერი ქარი ამოვარდა, ქარის სისწრაფე დღის 12 საათისათვის აღწევდა 18 მეტრს წამში. შემდეგ ქარი უფრო გაძლიერდა და ღამის 9 საათისათვის სისწრაფე უდრიდა 28 მეტრს წამში.

თბილისში ქარი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ასეთ ძლიერ ქარს იშვიათად აქვს ადგილი.

ღამის ცხრა საათის შემდეგ ქარის სიძლიერეს შესუსტება დაეტყო.

### რკინის გზაზე

ა.-კ. რკინის გზაზე ყარაიაზიდან—ხაშურამდე ძლიერი გრიგალი მძვინვარებდა. თბილისის საყუდმა მოითხოვა მატარებლების შემოკლებული შემადგენლობით გაგზავნა. სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი არ შეწყვეტილა.

## ახალი სახელმწიფო სესხი

### ხელის მოწერა ა. კ. გაგრძელებულია 20 აპრილამდე

იმის გამო, რომ კამპანია 1927 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის რეალიზაციისათვის ამიერ-კავკასიაში დაგვიანებით დაიწყო, ა. კ. ფინსახკომმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ფინსახკომის წინაშე, რათა სააგიტაციო კამპანიის და კოლექტიური ხელისმოწერის მიღების ვადა გაგრძელებული ყოფილიყო 20 აპრილამდე.

28 მარტს მოსკოვიდან მიღებული იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ფინსახკომის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

### სესხის რეალიზაცია თბილისში

წინასწარი ცნობებით, დღემდე 1927 წლის სახელმწიფო მომგებიანი სესხის ობლიგაციები თბილისში გასაღებულია 120—130.000 მანეთის რაოდენობით.

სესხის რეალიზაციის საქმეში ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს სახელმწიფო ბანკის კანტორა, რომელმაც 60.800 მანეთის ხელის მოწერა მიიღო.

მუშების და მოსამსახურეების ცალკე ჯგუფებიდან სესხი ყველაზე მეტი საღდება რკინის გზელებში, რომლებმაც დღემდე იყიდეს 40 ათასი მანეთის ობლიგაციები.

## ფასების დაკლების

### კამპანია

#### ფასების შემცირების შესახებ დირექტივების შემოწმება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმის დადგენილებით საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაევალა თვალყური ადევნონ ყველა ორგანოებს, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა, თუ რამდენად ასრულებენ ისინი დირექტივას ფასების შემცირების შესახებ. ამ მუშაობას საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია ატარებს პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ერთად ორი ძირითადი ხაზით: მომხმარებელთა მასების ჩაბმა ფასების შემცირებისათვის ბრძოლაში და შემოწმება და კონტროლი. ამასთან დაკავშირებით საკონტრ. კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია სისტემატიურ კამპანიას ატარებს ფართო კრებების მოსაწყობად, რომელთა საშუალებით სწარმოებს საზოგადოებრივი კონტროლი კოოპერაციისა და სახვაჭრობის მუშაობაზე, რისთვისაც აუცილებელია მუდმივი ცოცხალი კავშირის დაჭერა შეკავშირებულ მომხმარებელთა ჯგუფებთან. ამავე დროს საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას განზრახვა აქვს მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა ცოლების სპეციალური კრება. ვინაიდან მომხმარებელ ქალთა მასა უფრო პრაქტიკულად არის დაკავშირებული ბაზართან.

ამასთანავე საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია მუდმივ კავშირს ამყარებს სპეციალურად გამოყოფილ (მომხმარებელთა შეკავშირებულ ჯგუფებიდან) ორგანოებთან, რომელნიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ ფასების შემცირების დარგში სავაჭრო დელეგატების, სავაჭრო-შემფასებელ კომისიების, კოოპერატიული კომისიების და სხ. საშუალებით.

გადაწყდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სისტემატიურ კამპანიას პრესაში, სადაც, ახსნა-განმარტებათა და ინფორმაციის გარდა, უნდა აღინიშნოს როგორც დადებითი მიღწევანი, ისე უარყოფითი მხარეები, უნდა იქნას გამოაშკარავებული ყველა ის მომენტები, რომელნიც აბრკოლებენ კამპანიის წარმატებით მსვლელობას. ამ კამპანიამ მარტო ქალაქით არ უნდა განისაზღვროს თავისი მუშაობის ფარგალი, მან სოფლადაც უნდა გადაიტანოს მუშაობა და გლეხთა მასა ჩააბას ფასების შემცირებისათვის აქტიურ ბრძოლაში. (გლეხკორების, მუშკორების, ღარიბთა ჯგუფების, სადუქნე კომისიების, სარევიზიო კომისიების და სხ. საშუალებით).

მასების ჩაბმა ფასების შემცირებისათვის ბრძოლაში უნდა სწარმოებდეს აგრეთვე კერძო ვაჭრობის დარგშიაც.

საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა კონტროლისა და შემოწმების დარგში ტარდება შემწესრიგებელი ორგანოების (შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატი და მისი ორგანოები ადგილობრივ), კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოების, უშუალოდ მოვაჭრე ორგანიზაციების (ფასების ფაქტიური შემცირების, ხარჯების შემცირების და სხვა დირექტივების შესრულების დარგში), ბანკების, პარტიული ორგანიზაციების და კერძო ვაჭრობის ხაზით. ამ მიზნით ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შექმნა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც აწარმოებს მუშაობას კოლეგიის მიერ დამტკიცებული პროგრამის თანახმად. (ადს).

## წითელ ჯარში

### თბ. სამხკორთა კონფერენცია

### პირველი დღე

#### სამხედრო პოლიტიკური მომზადება და სამხკორთა ამოცანები

#### (ამხ. სნეგირევის მოხსენება)

სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებაზე და სამხკორთა ამოცანებზე მოხსენებით გამოდის არმიის პოლიტსამმართველოს სააგიტ.-საპროპ. განყოფილების უფროსი ამხ. სნეგირევი. იგი ეხება სამხედრო პოლიტიკურ სწავლების მდგომარეობას, მის დადებითი მხარეებს და ნაკლს და აღნიშნავს, თუ რას უნდა მიაქციოს ამ დარგში ყურადღება სამხკორმა, რომ თავისი საქმიანი შენიშვნებით შეუწყოს ხელი სწავლების საღ ნიადაგზე დაყენებას.

პოლიტიკური და სამხედრო სწავლების საქმე წითელ არმიაში, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, მჭიდროთ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობასთან; ამისათვის საჭიროა, რომ ყოველი სამხკორი ნათლად ერკვეოდეს ამ საკითხებში, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უფრო ნათლად გააშუქონ სწავლების მსვლელობა და შეუწყონ ხელი მის ნაყოფიერების ზრდას.

#### რევოლიუციონური კანონიერება არმიაში

ამხ. სნეგირევის სიტყვის შემდეგ სიტყვას იღებს არმიის სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელი. იგი ეხება რევოლიუციონურ კანონიერებას არმიაში და სამხკორთა როლს მის გატარება-განმტკიცებაში.

მომხსენებელი მიუთითებს თათბირს, თუ რა მოვლენებს უნდა მიაქციონ ყურადღება სამხკორებმა, რომ არმიის რიგებში აღმოფხვრილ იქნეს ყოველივე არანორმალური მოვლენები და დისციპლინის დარღვევა. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამხკორები ყოველთვის იდგენ რევოლიუციონურ კანონიერების სადარაჯოზე და მათმა შენიშვნებმა მისცეს საშუალება პროკურატურას სწორად წარემართა თავისი მუშაობა წითელ ჯარის რიგებში.

#### სამხედრო კედლის გაზეთების გამოფენა

წითელ არმიის და ფლოტის სათეატრო დარბაზში, სადაც მიმდინარეობს სამხკორთა თათბირი, მოწყობილია ჯარის ნაწილების კედლის გაზეთების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ტიპის გაზეთები, საზამთრო და საბანაკო პერიოდის და მანევრებზე გამოშვებულნი. აგრეთვე არის ეროვნულ უმცირესობათა ნაწილების გაზეთები.

გამოფენის დათვალიერება შეიძლება თათბირის მუშაობის დროს, ე. ი. დილის 9—3 საათამდე.

# პროფესორ მელიქიშვილის დაკრძალვა

კვირას, სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში მიწას მიაბარეს დამსახ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის ცხედარი.

გასვენებას მშვენიერი დარი დაესწრო. მზიანმა და წყნარმა დღემ ხელი შეუწყო პროცესიაში აუარებელი ხალხის მონაწილეობას.

დილიდანვე რუსთაველის პროსპექტის, ლენინის და მელიქიშვილის ქუჩების გასწვრივ ორივე მხრიდან ეწყობიან ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისის უმაღლეს, საშუალო და დაბალი საფეხურის მოსწავლეები. რუსთაველის პროსპექტი გაჭედილია ხალხით.

წესრიგს იცავენ სტუდენტები მილიციის და ჯარის ნაწილების დახმარებით.

დღის 12 საათისათვის მუშათა სასახლესთან აუარებელი ხალხი იყრის თავს. ყოველგვარი მოძრაობა პროსპექტზე და უნივერსიტეტისაკენ შეწყვეტილია.

მუშათა სასახლის მცირე დარბაზში, გარდა მთავრობის, პროფორგანიზაციების, უმაღლეს სასწავლებლების და განსვენებულის მახლობლებისა არავის უშვებენ. სასახლის ფოიესა და მცირე დარბაზში ორთავე მხარეზე ჩამწკრივებული არიან სახ. უნივერსიტეტის სტუდენტები—გვირგვინებით. ცხედართან განუწყვეტლივ სდგას საპატიო ყარაული. უკანასკნელად საპატიო ყარაულში დგებიან ამხ. შ. ელიავა ქ. ხომერიკი, დ. კანდელაკი და პროფესორები ივ. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე.

ცხედრის გამოსვენების წინ დარბაზში შედიან: ამხ. მ. ცხაკაია, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, შ. ელიავა, ს. ჯუღელი, ა. დოლიძე; შ. მათიკაშვილი, ი. ვარძიელი, გ. ყურულაშვილი და სხვები.



სამგლოვიარო პროცესია რუსთაველის პროსპექტზე

სრულ 12 საათზე დარბაზიდან გამოაქვთ გვირგვინები და დროშები; ქუჩაში სამხედრო ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს.

კუბო გამოაქვთ: ამხ. ლ. ქართველიშვილს, მ. კახიანს, შ. ელიავას, ს. ჯუღელს, დ. კანდელაკს და პროფესორებს—ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ა. ალადაშვილს და ა. მაჭავარიანს.

გარედ მოგროვილ ზღვა ხალხის თავები იხრებიან ცხედრის დანახვაზე.

რუსთაველის თეატრის წინ გამზადებულია პალმებით მორთული ღია შავი ბალდახინი, რომელზედაც სდგამენ კუბოს და პროცესია ჩერდება.

ახლო - მახლო ქუჩები და სახლების აივნები გაჭედილია ხალხით.

რუსთაველის თეატრის აივანზე გამოჩნდება ჭაღარა ამხ. მიხა ცხაკაია. ერთბაშათ ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში გაისმის ამხ. მიხას მკვეთრი სიტყვა:

— ამიერ - კავკასიის ცაკის და მთავრობის სახელით, ა.-კ. და საქართველოს მუშების, გლეხების და პატიოსანი მშრომელი ხალხის, მოგიძღვნით დიდ სამძიმარს ამ უდიდესი დანაკლისის გამო. განსვენებული მეცნიერი მართალია ფიზიკურად გაგვშორდა, მაგრამ მან თავისი მეცნიერული შრომებით წარუხოცელი კვალი დასტოვა ჩვენს შორის.

შემდეგ ორატორი ახასიათებს განსვენებულს, როგორც ადამიანს და დასძენს, რომ მელიქიშვილის სახით ჩვენ დავკარგეთ უდიდესი მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე. ამხ. ცხაკაია განსვენებულს ადარებს ზოგიერთ მეცნიერებს და კერძოდ ლავუაზიეს, რომელსაც საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ თავი მოჰკვეთა კონტრრევოლიუციონურ ბანკში გადასვლის გამო და ამბობს, რომ მელიქიშვილი ასეთ მეცნიერებს არ მგავდა და იგი რევოლიუციის დროს და მის შემდეგ გვერდში ამოუდგა მშრომელ ხალხს და განაგრძობდა ნაყოფიერ მუშაობას მეცნიერების დარგში.

სიტყვის დასრულების შემდეგ ამხ. მიხა მოუწოდებს ხალხს — თავი დაეხარონ განსვენებულის პატივსაცემად. ზღვა ხალხი ხრის თავს და ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

შემდეგ სიტყვით გამოდის საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა მელიქიშვილის სახით დაჰკარგა უნიჭიერესი სამეცნიერო მუშაკი და ენერგიული საზოგადო მოღვაწე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში.

მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა რუსთაველის თეატრის აივნიდან პროფ. შ. ნუცუბიძემ.

— პირველყოვლისა — ამბობს ის, პ. მელიქიშვილის დაკარგვას მწვავედ იგრძნობს საქართველოს უნივერსიტეტი. მელიქიშვილის დაკარგვას იგრძნობენ აგრეთვე რუსეთის ის უნივერსიტეტები, სადაც მუშაობდა განსვენებული და იქ სენის ნაპირებზე მწვავედ იგრძნობს ამ დანაკლისს პარიზის პასტერის სახელობის ინსტიტუტში მომუშავე განსვენებულის სახელოვანი მოწაფე პროფ. ბეზრედკო, რომელიც იქ იბრძვის ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის — სიკვდილის წინააღმდეგ. განსაკუთრებული ტკივილით შეიკუმშება მისი გული, როდესაც გაიგებს, რომ მისი მასწავლებელი საქართველოში მოიტაცა მოხუცებულებით გამოწვეულმა სიკვდილმა.

ქვითინს იწვევს ხალხში სიტყვის მეორე ნაწილი, როდესაც ორატორი მიმართავს განსვენებულს:

მეგობარო! მახსოვს შენი სიტყვები — „ისე შევეჩვიე უნივერსიტეტს, რომ თავი, რომ მომჭრან, ფეხები მაინც იქ მიმიყვანებენ"-ო. და აი, ასრულდა შენი სიტყვები. დღეს სწორედ ფეხებით წინ მიგიყვანენ შენს საყვარელს უნივერსიტეტში. მაშ დავიძრათ! იქითკენ. ვარაზის ხევთან აღმართული მეცნიერების ჩირაღდანი მშობლიურის სიყვარულით ჩაგიკრავს თავის მკერდში.

პროცესია ნელა იძვრის უნივერსიტეტისაკენ. კუბოს უკან მიჰყვებიან მთავრობის წევრები, პროფესორები და განსვენებულის მახლობელნი. მათ უკან იშლება ზღვა ხალხი, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

მელიქიშვილის ქუჩის ბოლოში, ქუჩის სიგანეზე გამოკიდებული შავი არშია თეთრი ასოებით ამცნობს ყველას—„აღარა გვყავს მსოფლიო მეცნიერი და უნივერსიტეტის ბოძი".

უნივერსიტეტის ეზოში შესავალი ალაყაფის კარები მორთულია გორლიანდებით და შავი არშიებით. უნივერსიტეტის ფასადიც სამგლოვიაროდ მოურთავთ. კიბეების ორთავე მხარეს გაბმულია ცოცხალი ჯაჭვი სტუდენტებისა. კიბის ბოლოში გათხრილ სამარესთან სდგას პალმებით გარს შემოდგმული კვარცხლბეკი.

უნივერსიტეტის შესავალ კარების თავზე გაკრულია შავი არშია წარწერით: „სახელმწიფო უნივერსიტეტი გლოვობს დიდი მეცნიერის დაკარგვას".

პროცესია უახლოვდება უნივერსიტეტს. მელიქიშვილის ქუჩა გაჭედილია ხალხით. პროცესია პროსპექტს სცილდება. უნივერსიტეტის ეზოში ხალხი აღარ ეტევა. ახლო - მახლო მიდამოები დაფარულია ხალხით.

პროცესიას წინ განსვენებულის ნილაბი მოუძღვის, მას უკან იშლება რიგი გვირგვინებისა, რომელთა დათვლა შეუძლებელი ხდება და დროშები. მათ უკან მოდის შავი ბალდახინი მუქი, ყვითელი კუბოთი. განსვენებულის სპეტაკ სახეს დაჰქათქათებს მცხუნვარე მზე და უფრო ასხივოსნებს მას.

ეზოში კუბო ხელით შემოაქვთ და ასვენებენ კვარცხლბეკზე. სიმებიანი. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს.

გაისმის პროფ. კ. კეკელიძის ხმა: „აჰა მოვიდა მელიქიშვილი უნივერსიტეტის ეზოში, სადაც ასე უყვარდა სეირნობა და ათი წლის განმავლობაში დაუღალავად უვლიდა ჩვენს მეცნიერების ტაძარს. მოვიდა, რომ აღარ წავიდეს აქედან.

დიდია ჩვენთვის და განუზომელი ეს დანაკლისი. ჩვენ არ დავსტირით პ. მელიქიშვილს, როგორც ასეთს, ჩვენ დავსტირით ჩვენს უნივერსიტეტს, რომელმაც მისი სახით დაჰკარგა დაუღალავი მეცნიერი — მუშაკი.

განისვენე ძვირფასო პეტრე და იყავი იქიდანაც ჩვენი მრჩეველი და ხელმძღვანელი".

კეკელიძის შემდეგ სიტყვას ამბობს სტუდენტთა სახელით ამხ. ჩუბინიძე, რომელიც ასე ათავებს თავის სიტყვას — „არ მოკვდება ის, ვინც პირველი რექტორი იყო და ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს უნივერსიტეტს".

გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა სახ. განათ. კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა, რომელმაც სთქვა, რომ მელიქიშვილის დაკარგვა მძიმეა, არა მარტო უნივერსიტეტისათვის, არამედ მთავრობისათვისა.

— „ძვირფასო პეტრე გრიგოლის ძევ! — მიმართა ცხედარს ორატორმა, შენი დაკარგვა განსაკუთრებით მძიმეა ჩემთვის, რომელსაც ბედმა მარგუნა სახელმწ. უნივერსიტეტის მართვა დროებით და რომელიც ხშირად მოგმართავდი რჩევა - დარიგებისათვის.

შენი უკანასკნელი ფიქრი იყო მიმართული უნივერსიტეტისა და იქ მეცადინეობისაკენ იმ დროსაც კი, როდესაც თანხმდებოდი ხელის ოპერაციაზე.

ჩვენ შენ გაფასებთ, არა მარტო როგორც მეცნიერს, არამედ როგორც სპეტაკ ადამიანსაც. ძნელია შენი განშორება ამ დროს, როდესაც ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას ნაციონალური კულტურის აყვავებისათვის. მშვიდობით, — შენი მოწაფენი შეეცდებიან შენი გზით სვლას".

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე თბილისის სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის რექტორმა პროფ. სმირნოვმა და ერევნის სახ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პროფ. ღამბარიანმა.

ყოველ სიტყვის დროს უკრავდენ სამგლოვიარო ჰიმნს, რომელიც არ შემწყდარა ცხედრის სამარეში ჩუშვების უკანასკნელ წუთამდე.

ცხედარი სამარეში ჩაუშვეს დღის 8 საათზე მთავრობის წარმომადგენლებმა და პროფესორებმა.

მთელ პროცესიას მუშათა სასახლიდან—უნივერსიტეტამდე იღებდა კინო.

### პროცესია ეკრანზე

საქართველოს „სახკინმრეწვი"-ს კინო-თეატრებში გუშინ უკვე უჩვენებდენ დამსახ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის დაკრძალვას.

ეკრანზე გადაღებულია მთელი პროცესია მუშათა სასახლიდან—სახელმწიფო უნივერსიტეტამდე.

ფილმი გამოსულია ძალიან გარკვევით.

სურათს წამძღვარებული აქვს პროფ. მელიქიშვილის მოკლე ბიოგრაფია.

## სამძიმრის დეპეშები

თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, დამსახ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო კვლავ მოსდის სამძიმრის დეპეშები. მიღებულია დეპეშა

**ამხ. თ. ღლონტისაგან**

**(ბერლინიდან)**

„ღრმად დამამწუხრა ცნობამ ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორის პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების შესახებ. ვეცადოთ აუნაზღაუროთ ეს მძიმე დანაკლისი ახალი ძალებით, ჩვენი კულტურის განვითარებით. რექტორი ღლონტი.

**მიუნხენის პოლიტეხნიკუმისაგან**

„ვგლოვობთ მძიმე დანაკლისს სახელმწიფო უნივერსიტეტისას, გამოწვეულს სახელოვანი მეცნიერის პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალებით".

**პროფ. პეტრიაშვილის მეუღლისაგან**

**(შვეიცარიიდან)**

„გამოვსთქვამ უდიდეს და ღრმა მწუხარებას პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო".

**აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან**

„აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტი გიცხადებთ თავის სამძიმარს მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც ეწია საქ. უნივერსიტეტს დამსახურ. პროფ. პ. გ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. რექტორი შახბაზი".

**ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ოდესის ქიმიურ სექციისაგან**

„ბუნებისმეტყველთა ოდესის ქიმიური სექცია საქართველოს უნივერსიტეტს უცხადებს სამძიმარს მძიმე დანაკარგის გამო. რომელიც მას ეწია პროფ. პ. გ. მელიქიშვილის დაკარგვით.

**პეტრენკო და კრიტჩენკო"**

**ინჟ. გ. ჭიჭინაძის დეპეშა**

„გავიგე რა ამბავი დამსახურებულ პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების შესახებ, რომელმაც თავისი სამეცნიერო შრომებით დასტოვა ღრმა კვალი ქიმიაში და ქიმიურ ტეხნოლოგიაში, რომელიც იყო საქართველოს სახ. უნივერსიტეტის პირველი რექტორი და დაუღალავი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თავის ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე არ დაუტოვებია სამეცნიერო მოღვაწეობის საპასუხისმგებლო პოსტი უნივერსიტეტში და მთელ რიგ სამეცნიერო ორგანიზაციებში.

უერთდები საქართველოს სამეცნიერო და საინჟინერო-ტეხნიკურ წრეების გულწრფელ გლოვას.

დე, მოღვაწეობა ძვირფასი პეტრე გრიგოლის ძისა გახდეს საქართველოს ინტელიგენტურ წრეების საწინდარი სწრაფი წინსვლისა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა სამეცნიერო-ტეხნიკური შესწავლის და საქართველოს მეცნიერული აზრის შემუშავების გზით.

პროფ. მელიქიშვილის ხსოვნა საუკუნოდ დარჩება საქართველოს ტეხნიკურ წრეებში.

ინჟ. გ. ჭიჭინაძე

**ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტისაგან**

განათლების კომისარიატმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „სამეცნიერო აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი გიცხადებსთ თქვენ გულწრფელ და ღრმა სამძიმარს, გამოჩენილ მეცნიერის და აკადემიურ მუშაკის, სამეცნიერო აკადემიის წევრ—კორესპონდენტის და დამსახურებულ პროფ. პ. გ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. დირექტორის მოადგილე—ტერ-ავეტისიანი".

მიღებულია დეპეშები: მოსკოვის სამეცნიერო საექიმო საბჭოსა და ჯანსახკომის სამეცნიერო ინსტიტუტისაგან; ყაზანის ქიმიკოსებისაგან; მოსკოვიდან—აგრონომ სანიკიძისაგან; ერევნიდან—პროფ. ლეოსაგან; აჭარისტანის პედაგოგ. ინსტიტუტისაგან; ბათომიდან—ოდესის უნივერსიტეტის მსმენელ ექიმებისაგან; აჭარისტანის ექიმთა საზოგადოებისაგან; აჭარისტანის მუშფაკისაგან; ქუთაისის პირველ ცხრა-წლედის მასწავლებელთა კორპორაციისაგან; თელავის პირველი ცხრაწლედის მასწავლებლებისაგან და მშობელთა წრისაგან; გორის მაზრაში მომუშავე აგრონომებისაგან; სენაკის აგრონომიულ განყოფილებისაგან; დიდ-ჯიხაიშის სამეურნეო სასწავლებლისაგან; ხონის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმისაგან; აჯამეთის საცდელ სადგურისაგან; ხაშურის განათლების მუშაკთა კავშირისაგან; ხეთის ცხრა-წლედის მასწავლებლისა და მოწაფეებისაგან; თელავის პედაგოგიურ ტეხნიკუმისაგან; ანაგელ კურსდამთავრებულ სტუდენტებისაგან და ლანირ-ჭაგანის შვიდწლედისაგან.

# ქრონიკა

### როზა ლიუქსემბურგის ძეგლი

თბილისის აღმასკომის მოზაიკურმა სახელოსნომ დაამთავრა როზა ლიუქსემბურგის ძეგლის გამოკვეთა. მთავრობის მიერ დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. სილია თოდრია, დაათვალიერა ძეგლი და მოიწონა. ძეგლის საერთო სიმაღლე უდრის 3 მეტრს. ძეგლი დაიდგმება ლენინის და მოსკოვის ქუჩების კუთხეში, ახალ სკვერში.

### ზაჰესის ენერგიის მრიცხველები

ზაჰესის ენერგიის აღსარიცხავად თბ. ელექტრო-ენერგიის განმანაწილებელმა სამმართველომ დღემდე შეიძინა 1.700 ელექტრო მრიცხველი, რომელთაგან 400 ცალი უკვე დაიდგა კერძო ბინებსა და დაწესებულებებში. ამჟამად ლენინგრადის ქარხნებში დაკვეთილია 7.000 მრიცხველი, ასე რომ მიღებულ მრიცხველების რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს თბილისის მოთხოვნილებას.

### საკრედიტო ბიუროს გამოკვლევა

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა საკრედიტო ბიუროების გამოკვლევას თბილისში და ბაქოში. გამოკვლეული იქნება ბიუროს მთელი საოპერაციო მუშაობა; კერძოთ გამორკვეული იქნება ცნობების გაცემის მთელი ტეხნიკა, ცნობების თვითღირებულება და სხვა.

### დავიწყებული მოგება

23 მარტს სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში გამოცხადდა უცნობი მოქალაქე, რომელმაც წარადგინა მეორე მომგებიანი სესხის ობლიგაციის ნომერი და სთხოვა ბანკის თანამშრომელს, გამოერკვია ხომ არ შეხვდა ამ ნომერს მოგება.

გამოირკვა, რომ წარდგენილმა ნომერმა, რომელიც სესხის ტირაჟში მონაწილეობას იღებდა ორი წლის წინად, მოიგო ხუთი ათასი მანეთი.

### საბინაო მიზნობრივი გადასახადი

მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ცნობით, მიმდინარე წელში საბინაო მიზნობრივ გადასახადისაგან დამხმარე კომიტეტი მიიღებს 284.000 მანეთს. საბინაო მიზნობრივ გადასახადით დაბეგრილია მხოლოდ არა მშრომელი ელემენტები—ვაჭრები, მრეწველები, კერძო წარმოების მფლობელები და სხ. გადასახადიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობას.

### თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ამ დღეებში შეუდგებიან ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას საბურთალოში.

◆ მიხა ცხაკაიას სახელობის საბინაო საამშენებლო ამხანაგობას სესხად მიეცა 2.000 მან.

◆ **გრიპი.** ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით თბილისში გრიპით დაავადების შემთხვევები დღითი-დღე კლებულობს.

### შრომის კომისარიატში

◆ შრომის კოლექტივში, სადაც ას კაცზე მეტი მუშაობს, შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით არჩეულ უნდა იქნას საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი.

◆ **სამუშაოზე მიღება.** შრომის კომისარიატის დადგენილებით პროფტეხნიკურ სკოლების კურსდამთავრებულნი სამუშაოებზე მიიღებიან იმავე უფლებით, როგორც პროფკავშირების წევრები.

◆ შტატების შემცირების დროს, შრომის კომისარიატის დადგენილებით, შემცირებაში არ უნდა მოჰყვენენ ყოფ. პოლიტკატორღელები.

◆ ფოტოგრაფებში მომუშავეთათვის დასასვენებელ დღეთ კვირის მაგივრად გამოცხადებულია ორშაბათი.

### სხვადასხვა

◆ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, ორშაბათს 28 მარტს, (უნივერსიტეტის მთავარ აუდიტორიაში) შესდგება სამგლოვიარო სხდომა, წრის საპატიო თავმჯდომარის დამსახ. პროფ. პეტრე მელიქიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ **ყრილობა.** 17 აპრილს გაიხსნება ოზურგეთის მაზრის გლეხკომების ყრილობა. ამავე დღეს ქ. ოზურგეთში გაიხსნება ამხ. კ. ხომერიკის სახელობის გლეხთა სახლი.

◆ **საექიმო პუნქტი.** წითელ ჯვარმა სოფ. ალვანში (თელავის მაზრაში) გახსნა საექიმო პუნქტი.

### შემთხვევები

◆ **გვამის აღმოჩენა.** 27 მარტს აღმოჩენილი იქნა გეურქა კოსტას ძე ალიხანოვის გვამი. როგორც ირკვევა ალიხანოვი 29 იანვარს გადავარდნილა მტკვარში თვითმკვლელობის მიზნით.

◆ ორაგულით მოიწამლა და გარდაიცვალა ნინა ხიმშიაშვილი. თევზის გამყიდველი მოქ. არუთინოვი დაპატიმრებულია.

◆ ქურდობისათვის 26 მარტს დააპატიმრეს ალექსანდრე ნიკიტინი.

◆ **დეკეულის მოპარვა.** 26 მარტს კავშირის ქუჩა № 1 ილია ბაბაევის ბოსლიდან მოიპარეს დეკეული.

◆ რუსთაველის გამზირზე დიმიტრი კილასონიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 177 მანეთი.

### ქურდის შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო გეხამ ხითარიანი.

ხითარიანს აღმოაჩნდა ნაქურდალი დიდი სარკეები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 11, ლ. ნადარეიშვილთან.

### აფერისტის დაპატიმრება

ს. ს. მილიციამ დააპატიმრა აფერისტი ხანდრო თხიპოვა.

# სასამართლო

### მესროპიანცის ოჯახის მკვლელთა საქმე უზენაეს სასამართლოში

როგორც ვსწერდით დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ მიხეილ აივაზოვი დამნაშავედ სცნო მესროპიანცის ოჯახის წევრთა დახოცვაში—მათი გაძარცვის მიზნით; ბრალდებულები: ვლადიმერ ონიანი, გალაქტიონ გოშკეთელიანი, აქსენტი და ბიქტორ ქურდიანი ცნობილ იქნენ დამნაშავედ ბოროტმოქმედების დაფარვაში; ვლადიმერ ბოდოკია ცნობილ იქნა დამნაშავედ ყალბი ჩვენების მიცემაში, არჩილ შამატავა—დამნაშავის დაფარვაში.

მიხეილ აივაზოვს, ბიქტორ და აქსენტი ქურდიანებს მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საქმე გაირჩევა 31 მარტს.

### 8.000 მანეთის ზარალი

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, დაიწყება ამბროსი გელიევის საქმის გარჩევა.

გასული წლის 28 სექტემბერს, გელიევმა ტრამვაის სამუშაო რონოდა პლეხანოვის გამზირზე დააჯახა სამგზავრო რონოდას.

უბედური შემთხვევის დროს მსუბუქათ დაშავდა რამოდენიმე მგზავრი.

ტრამვაის მეურნეობამ მიიღო 8.000 ზარალი.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

### ვალის სათემო აღმასკომის თავმჯდომარის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: მეუნიას და გალუსტოვის, პროკურორ ნათენაძის და მდივან გეწაძის მონაწილეობით ახალციხის მაზრაში გაარჩია ვალის სათემო აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარის საავ ყაზაროვის საქმე. ყაზაროვმა მიითვისა ადგილობრივ მცხოვრებთა [illegible] შეკრებილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად შეადგინა ყალბი საბუთები.

ყაზაროვმა სულ მიითვისა 468 მანეთი.

სასამართლომ ყაზაროვს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### გაფლანგვის სიმულიაცია

ესტატე სამხარაძე მსახურებდა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორაში წერილების დამტარებლად.

ერთ დღეს მან მიიღო 2.020 მანეთის ბარათი, რომელიც უნდა ჩაებარებია ვაკეში.

ფული მან არ ჩააბარა კუთვნილებისამებრ და მილიციაში განაცხადა, რომ ვაკესთან მას თავს დაესხა ორი შეიარაღებული ბოროტმოქმედი და ფული წაართვეს.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ სამხარაძისათვის ფული არავის წაურთმევია.

საქმე გადაეცა პროკურატურას.

# ხელოვნება

## ბეთჰოვენი და საფრანგეთის რევოლუცია

### (პროფ. ივ. ბრაუდოს მოხსენება სახელ. კონსერვატორიაში)

ცნობილმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა პროფ. ბრაუდომ გუშინ 28 იანვარს სახელმწიფო კონსერვატორიაში წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: „ბეთჰოვენი და საფრანგეთის რევოლუცია“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბეთჰოვენის შესახებ არსებობს დიდძალი ლიტერატურა. მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილია მრავალი მონოგრაფიები. მკვლევართა და კრიტიკოსთა დიდი ნაწილი ბეთჰოვენის შემოქმედებას არჩევს და იკვლევს წმინდა ესთეტიური თვალსაზრისით. უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა ცდა, რომ ისეთი უდიდესი მუსიკალური მოვლენისათვის, როგორიც არის ბეთჰოვენის შემოქმედება, გამოენახათ სოციალური საფუძვლები; არ ყოფილა ცდა, ბეთჰოვენის მუსიკა აეხსნათ იმ მოვლენებთან, იმ სოციალურ პირობებთან დაკავშირებით, რომელშიდაც უხდებოდა ცხოვრება ამ გენიალურ მუსიკოსს. ბეთჰოვენი სცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი სოციალური გარდატეხის—საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში,—იმ დროს, როდესაც სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა მესამე წოდება, ის კლასი, რომელმაც წარმოშვა ბეთჰოვენი, არ შეიძლებოდა ,რომ მასსების ამოძრავებას, მის ბრძოლას, მისწრაფებას თავისუფლებისადმი გავლენა არ მოეხდინა კომპოზიტორის სულიერ ბუნებაზე და აქედან მის შემოქმედებაზე. მართლაც, რაც უფრო მეტი გულდასმით ვუსმენთ და ვსწავლობთ ბეთჰოვენის მუსიკას, მით უფრო გვიპყრობს აზრი, რომ ბეთჰოვენი არის ახალი ცხოვრების, ახალი იდეალების მეხოტბე—მქადაგებელი, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული თავისუფლების და სოციალურ თანასწორების გამარჯვებაში.

როგორც უკანასკნელი გამოკვლევებით დამტკიცდა, ბეთჰოვენმა ახალგაზრდობაში თავის პირველი კომპოზიციები უძღვნა საფრანგეთის რევოლიუციის ამბებს. ამ კომპოზიციებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი პატარა საგუნდო სიმღერა, რომლის ტექსტიც შეიცავს პოლიტ. რადიკალურ იდეებს. ბეთჰოვენის ერთად-ერთი ოპერის „ფიდელიოს“ სიუჟეტად აღებულია ეპიზოდი საფრ. რევოლიუციიდან. ბეთჰოვენის ყველა სიმფონიები გამოხატავენ ახალი ადამიანის კოლექტიურ სულიერ განწყობილებას—განცდებს, განსაკუთრებით ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, რომლის ფინალიც ჩვენი დროის რევოლიუციონურ ჰიმნად, იქცა, გადმოგვცემს დიდი ისტორიული ეპოქის რიტმიულ მაჯისცემას—ადამიანის შეუპოვარ მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. თუმცა დანამდვილებით გამორკვეული არ არის, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბეთჰოვენი იცნობდა და განიცდიდა საფრანგეთის დიდი რევოლიუციის კომპოზიტორთა გავლენას.

გ.

### ბეთჰოვენის დღეები ავსტრიაში

**ვენა**, 28 მარტი. ბეტჰოვენის დღესასწაულის გამო მთელ ავსტრიაში ყველა საზოგადოებრივი სკოლები დაკეტილია, ქალაქები მორთულია დროშებით. ყველა ქალაქებში იმართება დღესასწაულები დიდი კომპოზიტორის ხსოვნის პატივსაცემად. უცხოეთის წარმომადგენლებს შორის, რომელნიც ვენაში ჩამოვიდნენ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, არიან: საფრანგეთიდან—ერიო, ბელგიიდან—ვანდერველდე, ჩეხო-სლოვაკიიდან—განათლების მინისტრი ხოდჟე, უნგრეთიდან—შრომის მინისტრი ვარეი. ჩამოვიდნენ აგრეთვე ბევრი გამოჩენილი უცხოელი მუსიკოსები. ბეტჰოვენის საპატივსაცემოთ ვენაში გამართულ დღესასწაულზე გამოვიდა ერიო. ავსტრიის კანცლერმა გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრენ ერიო, ვანდერველდე და უცხოეთის სხვა დელეგატები. (ადს).

## მარიამ იოსების ასული პერინი

### (მისი არტისტული და პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლის იუბილეისათვის)

მ. ი. პერინი.

პერინი 1897 წელს მოწვეულ იქნა თბილისის ოპერის თეატრში, რომლის შენობა მაშინ ჯერ კიდევ ახალი აგებული იყო, ის რამდენიმე სეზონის განმავლობაში იყო პრიმა-ბალერინად და იშვიათი იყო ისეთი პირველხარისხოვანი მოცეკვავე, როგორც პერინი.

იმ დროს საოპერო თეატრი ვერც კი იოცნებებდა ცალკე საბალეტო დასზე და ამიტომ პერინიც ოპერებში ცალკე ნომრებს ასრულებდა. მაგრამ ახალგაზრდა მოცეკვავე ქალის ნიჭს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და ძველი თეატრის მესვეურთ ახსოვთ ის მხატვრული მიღწევები, რომლებიც ახასიათებდა პერინის გამოსვლებს, გაიარეს წლებმა, და რუსეთში არტისტიული მგზავრობის შემდეგ, ის დაბრუნდა თბილისში, თავის მეორე სამშობლოში, სადაც დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა საბალეტო ხელოვნებაში.

პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც თავი იჩინა პერინის ნიჭმა, და მალე პატარა საბალეტო სკოლა გაიზარდა და გადაიქცა სერიოზულ საბალეტო სტუდიად, რომელმაც საშუალება მისცა თბილისს ჰყოლოდა სტილიური და სერიოზული ბალეტი.

პერინის სტუდიის პოპულიარობა წლიდან წლამდე იზრდებოდა და დღესაც იზრდება. თბილისის ბალეტის პერსონალი, რომელშიც შედიან ისეთი ნიჭიერი მოცეკვავენი, როგორც ჭაბუკიანი, ჩიკვაიძე, გვარამაძე, სტეპანოვა, რატუშენკო, ლასკარი, კაზინეცი, ბაუერი, ბეგთაბეგოვა, ჭყონია, სერგეევი (ბალეტმეისტერი), გოლუბლოვი, დმიტრიევი, არბატოვი (ბალეტმეისტერი), ვახტანგ ჭაბუკიანი, ბარხუდაროვი (ბალეტის რეჟისორი), გორსკი, სულხანიშვილი, ნაზაროვი და ალექსიძე, შესდგება იუბილიარი ქალის მოწაფეთაგან. მაგრამ პერინის სტუდიის მოწაფეები გამოდიან არა მარტო თბილისში, არამედ ვარშავაშიც (ზბიგნევი და იადვიგა რეონცა), პარიზშიც (დები კოვალევსკები), ამერიკაში ცეკვავს ლიდია სტეპანოვა, მოსკოვში—ეჯუბოვა, ოდესაში—ჩერკოვსკი, ბაქოში—ერონსკი. სტუდიის ყველა კურსდამთავრებულნი უმაღლეს დახელოვნებას ღებულობენ პერინასთანვე—და მხოლოდ ამის წყალობით ჰყავს თბილისს ძლიერი საბალეტო დასი.

საბჭოთა ხელისუფლება აფასებს მარიამ პერინის ღვაწლს და მისი სტუდია დღეს სახელმწიფო საბალეტო სტუდიადაა გადაკეთებული, სადაც ევროპიულ სახის კლასიკურ პლასტიურ ცეკვასთან ერთად, გადიან, აგრეთვე, ცეკვის სპეციალურ აღმოსავლურ ციკლს (განსაკუთრებით ქართულ კლასიკურ ცეკვას), ვითარდება მიმიკა, პლასტიკა.

პ. ბ.

## ხელოვნების ქრონიკა

### ლიტერატურული გამოსვლები კომკავშირის მუშათა უჯრედებში

— კომკავშირელ მწერალთა წრის და ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის ინიციატივით კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მუშათა უჯრედებში გაიმართება მთელი რიგი ლიტერატურული გამოსვლები. პირველი გამოსვლა მოხდება პოლიგრაფტრესტის სტამბის უჯრედში სამშაბათს 29 მარტს. მომხსენებლად გამოვა პ. ლ. ქიქოძე. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები: ალ. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, კ. ფეიღოსიშვილი, ე. პოლუმორდვინოვი, ფ. ნაროუშვილი, კ. ბობოხიძე, ალ. სულავა და ალ. ბუხნიკაშვილი.

— „ზარე“. დღეს კინო „მინიონში“ უკანასკნელად აჩვენებენ „ზარეს“.

— „გიული“. მომავალ ორშაბათიდან თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი: „გიული“.

— „ლოენგრინ“. ოპერის თეატრში დღეს მიდის ოპერა „ლოენგრინ“.

— **მირრა ვულ-ელიავას კონცერტი**. თბილისში პარიზიდან ჩამოვიდა მომღერალი მირრა ვულ-ელიავა, რომელიც 6 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გამართავს ვოკალურ საღამოს.

### ბეტჰოვენის კვირეული

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში 1 აპრილს ვერის მუსიკალური ტეხნიკუმი გამართავს ბეტჰოვენის საღამოს.

## სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის

საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარის რწმუნებულის ამხ. ელიავას სახელზე 28 მარტს მოსკოვიდან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სატრანსპორტო სექციამ გზათა სახალხო კომისარიატის და ფინსახკომის წარმომადგენლების მონაწილეობით ერთხმად დაადგინა შენარჩუნებული იქნეს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის საჭირო კრედიტები იმ რაოდენობით, რომელიც უკვე გაღებულია გზათა სახალხო კომისარიატის მიერ. (ერთი მილიონი მანეთი). საგეგმო კომისიის სატრანსპორტო სექციამ დაადასტურა აგრეთვე, რომ აუცილებელია მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება.

## ფეხბურთი

### „დინამო“—თბილისის ნაკრები

კვირას, 27 მარტს, გაიხსნა სპორტთამაშობათა გაზაფხულის სეზონი. ფეხბურთში სეზონის გახსნა აღსანიშნავად შეჯიბრი გაიმართა „დინამო“-სა და თბილისის ნაკრებ გუნდს შორის.

თბილისის ნაკრები გუნდი გამოვიდა სუსტი შემადგენლობით. მიუხედავად ამისა პირველი ტაიმი საკმაოდ ცოცხლად ჩატარდა. თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 2:1 თბილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. დინამოელებმა თავიდანვე გაბედული და ენერგიული შეტევა [illegible] ნაკრები გუნდის წინააღმდეგ და თამაშის დასრულებამდე ხუთი ბურთი გაატარეს მის კარებში.

შეჯიბრის საერთო შედეგია 6:2 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

## ბიბლიოგრაფია

**А. ЛЕОНТЬЕВ и Е. ХМЕЛЬНИЦКАЯ. Советская экономика. Опыт теоретического анализа. Изд-во «Плановое Хоз-во». 1926 г. Цена 1 р. 15 к.**

საბჭოთა ეკონომიკის, როგორც გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ანალიზის დროს შეუძლებელია მარტო „წმინდა“ ფორმებით და კატეგორიებით სარგებლობა. აქ პოლიტიკური ეკონომიის ძველი კატეგორიები, როგორც ლაპარაკობს ამხ. ბუხარინი არ იძლევიან საშუალებას შევიჭრათ მოვლენის სიღრმეში, გავსცდეთ ვულგარულ აზროვნებას, შევიცნოთ სამეურნეო ცხოვრების პროცესი მთლიანად და მის განვითარებაში.

როგორია ამ მხრივ სარეცენზიო შრომა და რამდენადაა მასში მოცემული საბჭოთა ეკონომიკის თეორიული ანალიზი? „ეს შრომა—სწერენ ავტორები, მიზნათ ისახავს მოგვცეს საბჭოთა ეკონომიური სისტემის თეორიული დახასიათება“. არის 1 ნაწილი, რომელიც თვით მარტო ზოგადი დახასიათებაა, მე2- ნაწ. გამორკვეული იქნება საბჭოთა მეურნეობის წარმოებისა და განაწილების კანონები, ხოლო მე-3 ნაწ. კი—ანალიზი განმეორებული წარმოებისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემათა დახასიათება.

ავტორები თავის შრომის პირველ ორ თავში იხილავენ თეორიული პოლიტიკური ეკონომიის ბუნებას, მის ობიექტს, მეთოდსა და ამოცანებს. მესამე თავში ავტორები განსაკუთრებით ჩერდებიან პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ეკონომიურ პოლიტიკის განსხვავებებზე და შემდეგ გადადიან „სამხედრო კომუნიზმისა“ და ახალი ეკონომიური პოლიტიკის დახასიათებაზე.

შრომის სერიოზულ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ისეთი რთული პრობლემისათვის გვერდის ავლა, როგორიცაა საქონლის ფეტიშიზმის პრობლემა კაპიტალიზმისა და გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაში. აქ უნდა იყოს გამორკვეული ანსხვავებს ერთი მეორესაგან საქონლის ფეტიშიზმს კაპიტალიზმში და საბჭოთა ეკონომიკაში, ანუ უფრო უკეთ გამორკვეული უნდა ყოფილიყო საქონლის ფეტიშიზმის ტრანსფორმაციის პრობლემა ჩვენს ეკონომიკაში. ხოლო ამ პრობლემის სწორად გაგება ისევე დიდათ დაგვეხმარებოდა მთელი რიგი ეკონომიური პრობლემათა გარკვევაში, როგორც დაეხმარა მარქსს საქონლის ფეტიშიზმის გაცნობამ, კაპიტალისტური მეურნეობის სწორად გარკვევაში.

საერთოდ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის სირთულე მოითხოვს მკვლევარისაგან, თუ კი მას სურს სწორად და მთელი თავის სირთულით შეიცნოს იგი, განსაკუთრებული მახვილი დაკვირვების უნარს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ საჭიროა ამასთანავე იგი არ იყოს მოკლებული ფართო თეორიული განზოგადოებას, რათა ზედმიწევნით სრულიად ჩასწვდეს ერთი მეორეს საწინააღმდეგო სამეურნეო პროცესთა შინაარსს და აქედან გარკვეული ტიპიური კანონზომიერებანი აღმოაჩინოს. ამრიგად ავტორებმა არსებითად რაიმე ახალი ჩვენი ეკონომიკის შესახებ ვერ სთქვეს. ბევრი ადგილი დაუთმეს სტეპანოვის შეცდომების და ბოგდანოვის ფილოსოფიის კრიტიკას, რომელსაც თავის-თავად აღებულ თემასთან ძალიან შორეული კავშირი აქვს.

წიგნი არ არის დაწერილი ფართო მკითხველისათვის, თუმცა წინასიტყვაობაში ავტორები აღნიშნავენ, რომ ისინი პოპულიარულ ფორმაში იძლევიან საბჭოთა ეკონომიკის ანალიზს. ეს დაპირება არ ეგუება იმ რთულ გამოთქმებს, რომელიც წიგნში გვხვდება: „რეპრეზენტატიული“, „ვალორისტიული“, „ავტოგენური“. ვფიქრობთ ასეთი გამოთქმები საშუალო მკითხველს შესამჩნევად გაუძნელებს წიგნის შინაარსის გაგებას.

მიუხედავათ ყოველივე ამისა წიგნის გაცნობა საბჭოთა ეკონომიკის თეორიით დაინტერესებულ მკითხველისათვის მაინც სასარგებლოა.

აკ. კალაძე.

## ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სა ხალხო კომისართა საბჭოსი

### გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სოფლის მოსახლეობის შრომის ბეგარაზე გაწვევის შესახებ

გაზაფხულზე წყლის ადიდების გამო მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად და შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხ. თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს გაზაფხულზე წყალის ადიდების პერიოდის განმავლობაში შრომის ბეგარა თემისა ან ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის წყალდიდობასთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად.

2. პირველ მუხლში აღნიშნული შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს,—შემდეგ (3) მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსახლეობა, ასაკით 18-დან 45 წლამდე, რომელიც თემში ან სათანადო სოფელში მუდმივ სცხოვრობს.

3. სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელ არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად.

დამატებითი გამონაკლისებს და შეღავათებს, ჯანმრთელობისა, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა და ყოფა-ცხოვრებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით,—დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

4. პირადი შრომის გარდა, ყველა იმ თემისა თუ სათანადო სოფლის მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, მოვალეა გადასცეს თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სოფლის საბჭოს, მის მიერ შრომის ბეგარის შესრულების განმავლობაში (მუხლი 5), თავისი საკუთარი მუშა-საქონელი და საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტი და ინვენტარი, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

5. სოფლის მცხოვრებნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობით, რასაც დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვარაუდით, რომ თვითეული პირის სამუშაო დღის რიცხვი გაზაფხულზე წყლის ადიდების პერიოდში 3 დღეს არ აღემატებოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

6. მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება შრომის ბეგარისათვის პირველ მუხლში აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად მოხდება მაზრისა თუ თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით.

7. მას, ვინც თავს აარიდებს შრომის ბეგარის შესრულებას, დაედება ადმინისტრატიულის წესით, სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ, პირველად ფულადი ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ხოლო, უკეთუ იგი ამას განიმეორებს ან შრომის ბეგარის ასრულებას დაჟინებით თავს აარიდებს,—პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხ. თანახმად.

8. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით, გამოსცეს ორი კვირის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მარტის 24.

## იურიდიული დახმარება

### სტუდენტ პიმენ თავაძეს

### პასუხი

თუ კი ბინის დამქირავებლად ითვლებით თქვენ (გაქვთ ალმასკომის საბინვანიდან ორდერი № 4140), თქვენ გაქვთ უფლება საბინაო სასამართლოს საშუალებით მოითხოვოთ მოქირავნეების (როგორც დროებით და თქვენივე ნებართვით ჩასახლებულების) ბინიდან გამოსახლება, თუ კი ბინის ქირასაც თავიდანვე იხდიდით მხოლოდ თქვენ და ისინი არ იღებდენ არავითარ მონაწილეობას ბინის ქირის გადახდაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადაიხდიან ბინის ქირას ახალი საბინაო ტარიფის მუხ. 22-ის თანახმად და მათი გამოსახლება შეუძლებელი იქნება.

### ახალსენაკის საკრედიტო ამხ-ბის ნოქარს გ. ჩემიას

### პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას, შრომის ინსპექციას, ან მაზრის პროკურორს.

### კომლის გაყრის შესახებ.

### კონსტანტინე ხელაძეს.

### პასუხი.

ვინაიდან კომლის მიწების და ქონების კანონიერად და სამართლიანად გაყოფის შესახებ თქვენს შორის არ მომხდარა შეთანხმება, თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით თქვენივე რაიონის სადგილ-მამულო სასამართლოს კოლეგიას (იხ. მიწის კოდექსის მუხ. 54).

### მიწის შრომითი იჯარის ვადის შესახებ.

### დ. ხორაგაულის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებ სერგო დევდარიანს.

### პასუხი.

სახნავ-სათესად გაცემული მიწის საშრომო იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს (იხ. მიწის კოდ. მუხ. 27 ახალი რედაქციით,—იხ. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 1 თებერვლის დადგენილება № 9). მიწის იჯარით გაცემის შესახებ კი თქვენ წინდაწინ უნდა აღძრათ შუამდგომლობა შორაპნის მაზრის სადგილ-მამულო განყოფილების წინაშე.

### მუშის ქვრივს (ქ. თელავის მცხ.) მაკა ზაქ. ქურცაძეს.

### პასუხი.

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, თქვენი ქმარი გარდაცვლილა 4-ნახევარი წლის წინედ და თქვენ პენსიის დანიშვნის შესახებ გვიან აღგიძრავთ შუამდგომლობა, რის გამო პენსიის დანიშვნაზე უარი უთქვამთ სოცდაზღვევის ორგანოებს. სოცდაზღვევის ორგანოთა მოქმედება სავსებით კანონიერია. პენსიის მოთხოვნის ვადა თქვენ გამოგიშვიათ და ახლა თქვენ საერთო წესით ვერ მოითხოვთ (იხ. საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება 1926 წ. 14 მაისიდან. გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში 1926 წ. 11 ივნისიდან, № 1198).

### სტუდენტ ალექსანდრე სამადაშვილს.

### პასუხი.

გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით თქვენი რაიონის სახალხო სასამართლოს და მოითხოვოთ სახლის პატრონისაგან ზედმეტად გაცემული ფულის დაბრუნება.

## პარტიული კალენდარი

— სამშაბათს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცკას აგიტპროპში მოწვეული არის აგიტპროპკოლეგიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კახიანი, კანდელაკი, მაშკევიჩი, მუშიშვილი, ასრიბეკოვი, ჯაფარიძე, (ქალ. განყ.) პელიძე, არუთინოვი, გოლდი, როხაძე, (ქარ. მუშფაკ. დეკანი) დუდუჩავა და მდივანი (ფინ. კურ. იხ. ლ. კ. კ. უჯრედი)

წინადადება ეძლევათ ამხ. ამხ. ნიორაძეს, მ. კამარაულს, ა, ქიტიას, ხ. ავეტისოვს, ა. ჯახიბახჩევს, ვ. კილოსანიძეს, მ. უნგიაძეს, კ. მელიქძეს და რ. მამულოვს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ც. კ. საორგ. განმანაწ. ქ.-განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება პარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 29 და 30 მარტს დღის 3-დან 6 საათამდე უნდა გამოცხადდნენ ბიუროში ამხ. ს. კიკაბიძესთან ძველი პარტბილეთების გამოსაცვლელად.

29 მარტს აღნიშნულ საათებში უნდა გამოცხადდნენ სოც.-ეკონ. ფაკ. უჯრედის წევრები და 30 მარტს იგივე საათებში დანარჩენ ფაკულტეტთა უჯრედის წევრები.

იმ ამხანაგებმა, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 135 მანეთამდე უნდა წარმოადგინონ ბილეთთან ერთად 50 კაპეიკი, იმათ კი, ვინც 135 მან. მეტს იღებს—1 მანეთი.

პარტიის კანდიდატების გამოცხადება არ არის საჭირო.

29 მარტს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია საბჭოთა უჯრედების მდივნების თათბირი დაწესებულებათა უფროს-კომუნისტების დანდასწრებით. თათბირის საგანი: საბჭოთა აპარატის გამუშავების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე გლეხთა ცენტრალურ სახლის შენობაში შესდგება ქალაქის რაიონის სადელეგატო კრებათა მეორე რუსული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა. ამავე დროსვე რაიკომის შენობაში შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის უჯრედების ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

სამშაბათს, 29 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არხრაიონის გაფართოებული პლენუმი უჯრედების ბიუროების მდივნებისა და წევრების, საუჯრედო კომისიების წევრების, ჯგუფორგანიზატორების და მუშკოოპის რწმუნებულებისა და სადუქნე კომისიების წევრ-კომუნისტების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) საცალო ფასების შემცირება
2) მასიური მუშაობის საკითხი.

---

ღრმათ დამწუხრებულნი: დები ლიზა ათანასეს ასული [illegible]ულუკიძისა და ემელია ათანასეს ასული გულუასი ქალიშვილით, ძმისშვილები ნინო ვიქტორის ასული ჯაფარიძისა ქმარშვილით, მარიამ ილიას ასული [illegible]ნისა ქმარშვილით და ლიუბა ილიას ასული ქუთათელაძე, მისი შვილი მარგარიტა ნიკოლოზის ასული კვინიკაძისა [illegible] მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ ა. წ. 27 მარტს ქ. ხონში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და ტკბილი

**ნატალია ათანასეს ასული ქუთათელაძისა**

დასაფლავება მოხდება ქ. ხონში, ხუთშაბათს, 31 მარტს დღის 4 საათზე.
2256

---

ნიუცა, სანდრო, კაკო, ილიკო და მარუსია ქუთათელაძეები, მაშიკო და იოსებ ნაუბათოვები, ელენა, თამარ და გიორგი შარაშიძეები, ვერა და საშა ტომაშევსკები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ხონში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი ბიცოლა

**ნატალია ათანასეს ასული ქუთათელაძისა**

დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში, ხუთშაბათს, 31 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. (ე)

---

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე გიორგის-ძე ქუთათელაძე შვილებით: ოლია, ქსენია, კატია, თალიკო, ხატაშა, მიშა, საშა და გრიშათი; რძლებით: კატო, ლიდა და ბებე, სიძეებით: ნიკიფორე ხომერიკი, ვანო მაჭავარიანი და მიშა ქვარიანი, შვილიშვილებით: თინა, ნორა, ლეოხიდი და ვახუშტი აქით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 26 მარტს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და მუდამ სახსოვარი

**ნატალია ათანასეს ასული ქუთათელაძისა**

დაკრძალვა დანიშნულია 31 მარტს, ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ხონში 2259—2—1

---

ზესტაფონის პირველი შვიდწლიანი შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო და ამავე სკოლის მოწაფენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობ-ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი, საუცხოვო მეგობარი და ადამიანი, სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა მასწავლებელი

**ნინო აფრასიონის ასული ქავთარაძე-ხიმშიაშვილისა**

2253—1—1

---

მუდამ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე დავით ვასილის ძე—შვილი ლენა ხიმშიაშვილები, მშობლები აფრასიონ, მაშიკო და ძმა ალექსანდრე ქავთარაძეები. მამამთილ-დედამთილი ვასილ და მარიამ ხიმშიაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს მათი საყვარელი და დაუვიწყარი

**ნინა აფრასიონის ასულის ქავთარაძე-ხიმშიაშვილისა**

უდროოთ დაკარგვას. ცხედარი რკინისგზის საავადმყოფოდან გასვენებულ იქნა გუშინ ქ. ზესტაფონში. დაკრძალვა მოხდება სოფ. კლდეეთში (შორაპნის მაზრა). ამა წლის 1 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე.
2254—2—1

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა სალომე (სონია) გიორგის ასული, მამა გიორგი კონსტანტინეს ძე, ძმები კოტიკო და დათიკო ხაბურზანიები და ბებია პასიკო იოსეს ასული კვინიხიძისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 27 მარტს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**მარიამ (მარიკო) გიორგის ასული ხაბურზანია**

რომლის დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს, ა. წ. 30 მარტს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე, გამოსვენება ნიკოლოზის ქ. № 54 ახალ ვერის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე.
ნ. 913—1—1

---

დამწუხრებულნი მშობლები ილარიონ და პირასლავა წერეთლები, ძმები და დები: ვერა, კონსტანტინე, ივანე, გრიშა, იტა, ლადუშა, რძლები: მარიამი, ოლია, სიძე—ამბერკი ორჯონიკიძე, დეიდა დარიკო წერეთლისა შვილით ვლოდიათი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 29 მარტს საღამოს 5 საათზე, ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის სტუდენტის

**მაყვალა (ქეთო) ილარიონის ასულის წერეთლის**

2260—1—1

---

ღრმათ დამწუხრებული მშობლები დედა სონა, მამა დათა, ძმები ილიკო და პროკოფი, დები კატუშა და მარგალიტა და რძალი მარო კვასხვაძეები და სიძე სევერიანე ტულუში აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს, 31 მარტს, დღის პირველ საათზე ს. ჯუნჯუათში გადახდილი იქნება პანაშვიდი

**სიმონ დავითის ძე კვასხვაძის**

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო 2263

---

„კომუნისტი“
ხელისმოწერა მიიღება
თბილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34
პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ვლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, აჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე პოლ. ინწკირველთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩემჩირი—ადამიასთან
19. ხად. ბორჯომი—) რ. თარგამაძესთან
20. ბორჯომ-ბალი— )
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

და სპეციალურ რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც აღჭურვილი არიან კანტორის სათანადო მოწმობებით
1—0 ხელის მოწერა სხვა დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან არ მიიღება „კომუნისტი“ მთავარი კანტორა

ანონსი!
მალე
საქართველოს სახკინმრეწვის
ახალი სურათი
გიული
დადგმა—ლ. პუშის და ნ. შენგელაიას
ოპერატორი—მ. კალატოზიშვილი
მთავარ როლებში:
ნატა ვაჩნაძე ც. წუწუნავა
ა. იმედაშვილი ა. თაყაიშვილი
ზ. მელიავა. კ. ყარალაშვილი,
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ნ. 915

ა.-კავკ. რკ ნის გზათა სამმართველო
აცხადებს, რომ 30 მარტს, დილის 10 საათზე
თბილისის სალიკვიდაციო საწყობში
(გორის ქუჩა რკინის გზის ფარგლებში)
აუქციონით გაიყიდება
შუშეულის ქურქლის მოუკითხავი ტვირთი ზედნადებით: სად. ბორისოვო № 77720—1 აგვ. 7990 კლგ. და სად. ბაქო № 8771—აგვ. 7695 კლგ.
მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყების და დამთავრების ვადას გამოაცხადებს კომისია, რომელიც აწარმოებს ვაჭრობას.
დაწვრილებითი ცნობები შეიძლება იქნას მიღებული თბილისის სალიკვიდაციო საწყობში ჩვეულებრივ დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს,—ვაჭრობის დაწყებამდე.
ასეთივე განცხადება არის გამოკრული თბილისის სალიკვიდაციო საწყობთან. ნ. 916

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექ. ი. ე. ბაბიჩვაძე
პლეხანოვის პროსპექტი № 65
იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

დაკარგვა სამხედრო სამსახურის საბუთი გაცემული გორის მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან და „ზაჰესის“ მუშათა კომისიის მიერ მოცემული რეგისტრაციის ფურცელი ალექსი ზაქარიასძე იმერლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2255

დაკარგვა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 1115 ივანე მანუჩარისძე ჭანტურაიას სახელზე, ჩ. გ. 2268

დაკარგვა უვადო პასპორტი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და კავშირის წიგნაკი მიხეილ მიხეილისძე ჭყონიას სახელზე, ჩ. გ. 2152

დაკარგვა კომ. პარტიის საკანდიდატო ბარათი მოცემული გურიის სამაზრო კომიტეტის მიერ № 19166, ბიქტორ კეჭალმაძის სახელზე, ჩ. გ. 2261

დაკარგვა სამხ. სამსახურის წიგნაკი და პარტკანდიდატობის მანდატი № 3031, ამბერკი სამსონის-ძე სვანიძის სახელზე, ჩ. გ. 2262

დაკარგვა სამხ. პირადი წიგნაკი № 1731, მოცემული მარტვილის სამხ. მაგიდის მიერ შალვა ნიკოლოზის-ძე გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 2267

დაკარგვა უვადო პირადობის მოწმობა მიღებული ქ. ზესტაფონის ალმასკომიდან ალექსანდრე ლუარსაბის-ძე გიორგიძის სახელზე, ჩ. გ. 2267

დაკარგვა პირადი ფურცე[illegible] ფორმ. № 4, ვანო მაჭარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2262

სახელმწიფო ოპერა
ნ. 911
დღეს, 29 მარტს, პირველ აბონემენტის მეათე წარმოდგენა
ლოენგრინ
ბოკოვას, სკიბიცკაიას, კანსბურგის, ინაშვილის, შარაშიძის და ქარცივაძის მონაწილეობით.
დირიჟორი სახალხო არტ. ფალიაშვილი
ოთხშაბათს, 30 მარტს პერინის იუბილე
პარასკევს 1 აპრილს მესამე აბონემენტის მეცხრე წარმოდგენა
ტრილბი (ოპერა მანონის მაგიერ)

ცირკი
ძმ. ტანტეების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 912
ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტეების ხელმძღვანელობ.
დღეს, 29 მარტს,
მსოფლიო ჩემპიონის კლემენტი ბულის საღამო
მონაწილეობს მთელი დასი. გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი
დღეს ჭიდაობს 4 გამოჩენილი წყვილი
პირველი გადამწყვეტი საბოლოო შედეგამდე კ. ბულ—წითელი ნიღაბი, ბორისოვი—ბუმბერაზი ზოტ, გურსკი—დემონ
გადამწყვეტი რევანში საბოლოო შედეგამდე ჟელეზნიაკ—შულც
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

აპოლლო
ტელ. 7—61.
.არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—23 ნ. 748
„ზარე“ დადგმის მეორე კვირა რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი
ქურთების ცხოვრებიდან სომხეთის კინოს გამოშვება.
მხატვრული შედევრი! უცხოეთის სურათი
„ცხოვრების გზები“ პროგრამის გარეშე სტარევიჩის ორიგინალური კომედია „ობობას ბრჭყალებში“
მსოფლიო შედევრი! მონოპოლიურათ ჩვენს ეკრანზე
„სოდომი და გომორა“ ლიუსი დორენის მონაწ.
2 სერია 13 ნაწილი. გრანდიოზული დადგმა. ორივე სერია ერთად. ათეული ათასი მონაწილე.
საუკეთესო სურათი „ოქროს მაძიებელნი“
6 სერიათ 36 ნაწ. ვილიამ დესმონდის მონაწილეობით.
ანონსი: მალე „გიული“ საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები.

ОТКРЫТА ПОДПИСКА до КОНЦА ГОДА —с 1 апреля по 1 января
САМЫЙ РАСПРОСТРАНЕННЫЙ ЖУРНАЛ «ОГОНЕК» ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛ
с приложениями (3 АБОНЕМЕНТА) с приложениями:
1 абонемент: „ОГОНЕК“ с одним приложением — „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“ (лучшие художники и карикатуристы)—издание большого формата, на отличной бумаге, в художественной папке. с 1 апреля до конца года — 4 р. 20 к., 6 месяцев—3 р.
2 абон.: „ОГОНЕК“ с двумя приложениями: 1) роскошный богато иллюстрированный том, посвященный 10-летию Октябрьской Революции „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) — 300 страниц в прочном изящном переплете, и 2) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“ с 1 апреля до конца года — 5 р. 60 к.
3 абон.: „ОГОНЕК“ с тремя приложениями: 1) 78 книжек (по 2 книжки в неделю) БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“ (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“, и 3) „АЛЬБОМ СОВРЕМЕННОЙ САТИРЫ и ЮМОРА“—с 1 апреля до конца года— 12 р. 50 к.
Подписчикам на 3-ий абонемент допускается РАССРОЧКА: при подписке—6 руб. 50 к. и к 1 июля—6 руб. Приславшие же сразу 12 р. 50 к. получат ПРЕМИЮ: изящную английскую настольную раздвижную этажерку для „Библиотеки“. Подписка на 3-й абонемент принимается также на весь 1927 год—с 1 января за 15 р. (с этажеркой).
„БИБЛИОТЕКА ОГОНЕК“ отдельно от журнала: на весь 1927 год (104 книжки)—10 руб., с 1 апреля до конца года—7 руб., 6 мес.—5 р., 3 мес.—3 р.
ПЕРЕВОДЫ АДРЕСОВАТЬ: МОСКВА 9, Тверской бульвар 26, Акц. Издательскому О-ву „ОГОНЕК“
Подписка также принимается во всех почтовых учреждениях Союза ССР.
ნ. 832 3—2

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 1 აპრილს 1927 წ. დღის 1-ლ საათზე, სახლში № 9 ხაზინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ტიგრან არაქელოვის და ვართან არუთინოვის მოძრავ ქონებას: ერთ შიფონიერკას სამ განყოფილებიანს, შეფასებულს 105 მანეთად, მოქ. პატვიკან პეტროსიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 28 თებ. 1927 წლ. თარიღით, № 652 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 914—1—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი